



მუატრნი სხოვრებ

სთეასრო სალიტერატ. ჟურნალი

|| ფანი 25 კპკ. ||

ნოეფგრინ 30.

|| 1924 წ. № 16 (19) ||



მანო სარაჯიოვილი
(1880—1924)

გეითხველთა და თანაგზროველთა საყურადღებოდ



I. უფრალი „თეატრი და ცხოვრება“ თვისისი არსებობის მეთხუთმეტე (XV) წლის დახაწვისში გამოდის განახლებულის იერით. სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით. სარედაქციო კოლეგიაში შედიან (ანბანთარიგბე): 1) ახნაზარიაძე არ, 2) ბუნიაკაშვილი გრ., 3) ვიარაზაშვილი ს., 4) თევზია ბეკ., 5) იმედაშვილი იოსებ (რედაქტორი), 6) ოლანგაშვილი ალ., 7) ღვინიაშვილი ანა, 8) ჩიღრიძე ვიხ. და 9) ციმაკურიძე ალ. თანამშრომლებად მოწვეული არიან დამახორუბელი და ა აღგაზრდა ნიჭიერი მწერნი:

II. უფრალის მიზანია: ა) მიუდგომლად და სისწორით აღნიშნოს ყველა ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს ხელოვნების (განსაკუთრებით ხალხურ თეატრის), მწერლობის და, საზოგადოთ, კულტურის სარბიელზე როგორც საქართველოში, ისე მეზობელთა შორის და უცხოეთში; ბ) ყოველგვარი კულტურული და სახელოვნო ნამუშევარი შეაფასოს; გ) ხელი შეუწყოს ყველა ხელოვანთა და კულტურულ მუშათა აღნიშნულ მიზნის მისაღწევად და ს.

III. ყოველკვირეულად გამოვა სურათებიანი უფრალი „თეატრი და ცხოვრება“, ხოლო სამ თვეში ერთხელ სარედაქციო პიესების კრებული „ცხოვრების სარკე“.

IV. ზემორე დასახელებულ მიზნის მისაღწევად რედაქცია სთხოვე ყველას, ვისაც გული შესტკევა ჩვენის ხელოვნების, მწერლობისა და კულტურული წინსვლისათვის, სისტემატურად მოგვარდოს: ა) საღ, რომელ დამა სოფელისა და ქალაქში რაგვარი სახელოვნო-საკულტურო მუშაობა სწარმოებს (სახალხო თეატრთა, სახალხო სახლთა თუ კლბთა აშენების, სცენისმოყვარე-მუშაკ-

თა მოღვაწეობის, სკოლის გარეშე განათლების და სხ. დარგში); ბ) ზემოსტენებულ მუშაობას ვინ, რა გეგმით და წესით აწარმოებს, რა ღირსება და ნაკლი აქვს; გ) ამა თუ იმ საქმეს სახელმწიფო საზოგადო დაწესებულება თაონონებს, ეკრძო პირი, ამახ-ბა თუ სხ.

V. უფრალია და კულტურისთვის მოგაწოდონ შესაფერი მასალა (რეცენზიები, მიმოხილვა, პიესები, სკენები და სხ.).

VI. ადგილობრივი მუშაობის შესახებ ყოველგვარი ცნობა სიმართლით აღნიშვნ, ფაქტების დაუმხინჯებლად, და ისე მოგაწოდონ.

VII. ყოველი მასალა უნდა იწერებოდეს ქალაქის ცალ მხარეზე გარკვევით და ფსევდონიმის გარდა (თუ კი ვინმე ფსევდონიმით ისტურებს წერვას) აღიზნულ უნდა იქნეს ავტორის ენაობა. ხელმოწერები წერილები არ დაბეჭდება.

VIII. ყოველი წერილი საქორც-სამებრ შემოკლება და შესწორდება.

IX. ყველა დამა სოფლის თეატრის შესახებ ისტორიული მასალა მოგაწოდონ (საღ, რომელ სოფელში, როდის რა პირობებში ვისგან დიიწყო. სასცენო-სათეატრო მუშაობა) სასურველია ამა თუ იმ თეატრის დამარსებელთა და სტულისადამფუთა სურათები, აგრედე შენობის აღწერ-ნახატები და სხ.

X. ყველა ავტორმა ანუ გამომცემელმა, რომელსაც სურს მისი ნაწარმოების განხილვა მოთავსდეს უფრალში, ზედტყვის თითო ანუ ოროლო თანა წიგნი, უფრალი თუ სხ.ა გამოცემა უნდა გამოუგზავნოს.

სახალხოწიფო ოკაჩის თეატრი

წარმოდენა № 1.

ორშაბათს, დეკემბრის 1-ს 1924 წ.

ი. გიდეანიშვილი

მ ს ხ ვ ე რ კ ლ ი

დრამა 3 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან.

მონაწილეობენ: აბაშიძე ტ., ანდრონიკიშვილი ელო, ანკარა ს., ივერელი ალ., ნინოზი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხიძე ნინო, ადამიძე ვ., არაბიძე ვ., ანდრონიკაშვილი კ., ბალანჩივაძე ვ., გამყრელიძე ვ., გელოვანი შ., გომელაური ზ., გოციბოძე ნ., (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), დგბუაძე ალ., იმედაშვილი ალ., კობეძე კ., მამულაიშვილი ნ., მატარაძე ვ., მიქაბერიძე კ., თეიძე ი., რომანიშვილი ი., საფაროვი ზ., ფონისპირელი გ., ჭიაურელი ვიხ. და თანამშრომელი.

დადგმა ალ. წუწუნამასნი:

ახალი დეკორაციები პალ. სიღამონ-მარისთავისა.

ადგილების ფასები 30 კ-დან 2 მ-მდე. მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არიან მუშუგებენ დასაწყისი სიღამონს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასის გამგე ალ. იმედაშვილი.

ქართული დრამა

მსახიობთა ახსანაგობა

1924—სექტემბერი—1925

ქალები: აბაშიძე ტ. (დამსახურ. მსახიობი), აბაშიძე ე, აბელიშვილი ან., ანდრონიკაშვილი ელო, ანდრონიკაშვილი კ., ანკარა ს., ივერელი ა, ნინოზი ნ., რომელი ბ., ჭილაურელი ელ. მ., ქიქოძე ა. ჩერქეზიშვილი ელ. (დამს. მსახ.), ჩხიძე ნინო (დამს. მსახ.).

ვაჟები: აბაშიძე ვ. (რესპ. სახ. მსახიობი), არაბიძე ვ., ადამიძე ვ., ბალანჩივაძე ვ. (დამს. მსახიობი), გამყრელიძე ვ. (დამს. მსახ.), გელოვანი შ., გომელაური ზ., გუგუშვილი ა., დგბუაძე ა., იმედაშვილი ა., კობეძე ვ., მამულაიშვილი ნ., მამუროია ი., მატარაძე ვ., მიქაბერიძე კ., თეიძე ი., რომანიშვილი ი., საფაროვი ზ., ფონისპირელი გ., ჭიაურელი ე.

რეჟისორები: ანდრონიკაშვილი კ. და წუწუნაე ალ.; მოკარანაგნი: მგალობლიშვილი ა., ცაბაძე არ., მატარაძე სიღამონ-ერისთავი ვალერიან, სამხატვრო ნაწილის გამგე ანდრონიკაშვილი. რეპერტუარი: „კაცის სამართალი“—ნ. ნაკ.შიძე, „სტუმარ-მასპინძლობა“—ტ. რამიშვილი, „პაატა ბატონიშვილი“—დ. ნახუტრიშვილი, „გუშინდელი“—შ. დედანი, „სამინიშვილის დედინაცვალი“—დ. შ. შარაშიძის ინსცენირება, „მეფე ლილი“—ჟილ. შექსპირი, „კაენი“—ბაირონი, „დანტონი“—რომენ-როლანი, „კრაზანა“—გოიტიჩი. დასის გამგე: იმედაშვილი ალ.,



1910—1924

წელიწადი XIV

№ 16 (19)

შავი 25 ჟ. ნაკვ.



„თეატრი და სპორტები“

გრაფიკული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბის“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და სპორტები“.

იხილეთ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, სპორტული სურათები

დაარსდა 1910 წ.

ნაკვეთი 30

გამოცემა 1924 წ.

სადღეისო

ახალი უნებურად შეჩერებული ჟურნალი „თეატრი და სპორტები“ დღეიდან კვლავ გამოდის, — ძველებურის ხალისით, ახალის გზით.

და როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც ჩვენი მთავარი მიზანი იქნება მშრომელ ხალხთან ერთად ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა:

ხელოვნების ცხოვრებასთან დაკავშირება, ცხოვრების ხელოვნების ჩარჩოებში ასახვა.

ამისათვის ჩვენ ერთნაირი ყურადღებით მოეპყრობით ხელოვნების ყოველი დარგის გაშუქებასა და სიტყვა-კაზმულ მწერლობის სამსახურს.

ჩვენის ჟურნალის არსებობის მეთორმეტე წლის მიწურულს დიდებულ ხანაში გვიხდება მუშაობის განახლება, —

რეკოლიუციის მიერ დამხობილ ძველი წყობილების ნაწილებზე ახალი ნერვის დამყნობა.

მშრომელი ხალხი დღედაღდე ამკვიდრებს თავისი ხელისუფლების საძირკველს როგორც ნივთიერს, ისე სულიერს:

სწარმოებს ნგრევა-შენება. ამ ნგრევა-შენებაში ხელოვნებას უდიდესი ადგილი უკავია.

ჩვენი ჟურნალი მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობს არსებულ ხელისუფლების საღმრფეობა მუშაკობას, ხელოვნების დარგში; ფხიზლად უდარაჯებს, რათა ხელოვნების სხეები ფართოდ მოეფინოს სრულიად საქართველოს ყოველ კუთხეს...

ჩვენ თვალწინ სწარმოებს დიდი ბრძოლა ჩვენს ხალხში უკოდინარობისა და სიბნელის მოსასპობად.

ჟურნალი ამ მხრივაც ეტდება განათლების ყოველ დარგის მუშაობაზე ხელი მოაუპართოს.

უკანასკნელი ათეული წლის შფოთიანმა ამბებმა ჩვენი ხალხის დიდი უმეტესობა ჭირის ოფლიში

გამოატარა, თითქმის სულიერად დასთენთა, გააოგნა და ყოველ არყოფნის აზრილი დაუყენა თვალწინ, — სწორედ ამიტომ ჩვენი ჟურნალი ფართოდ გავრცელდა დაუთმობს ისეთ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებს (მოთხრობებს, ლექსებს და სხვ.), რომელიც ხელს შეუწყობს ამ სულდაცემულობის გაფანტვას.

დღევანდელი სახელოვნო-სამწერლო მუშაობა იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცხოვრება ბუნებრივ კალაოტში ჩადგება და სულიერად მოქანკული აღამიანი ვახალისებულის მისწრაფებით შეუღდება ახალ ცხოვრების სწორე გზას.

ჩვენი ხელოვნება, მწერლობა და საერთოდ კულტურული საქმიანობა ვარგეშე მუშობლებისა და უცხო ერთა ნაყოფიერად ვერ იწარმოებს, ამიტომ ჟურნალი დიდს ყურადღებას მიაქცევს როგორც მეზობელთა, ისევე უცხოეთის სასცენო-სახელოვნო და სამწერლო შემოქმედებას.

ჟურნალში ფართოდ ადგილი ექნება დათმობილი როგორც დამსახურებულ, ისევე ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებთ და, შეძლებისა-და გვარათ, ყოველგვარ მიმდინარეობას, თუ კი იგი იქნება ჭეშმარიტი ნიჭით მირანცხებული.

ქურნალის დონის კიდევ უფრო ასაწევად რედაქციამ დამსახურებულ მწერლობა-ხელოვნათაგან შედგინა სარედაქციო კოლეგია, რომლის წევრთ მინდობილი აქვთ ცალ-ცალკე განყოფილება და ცალკეადაი ნაწარმოების კრიტიკულ დარჯაქში გარკება.

ჟურნალი როგორც დღემდე დღეის შემდეგაც გამოდის ყოველგვარ სუბსიდიის გარეშე, მხოლოდ მკითხველთა და ხელისმომწერეთა ვერსიასელით, აგრძელებს შემოაწიერებლთა თანაგრძნობით.

ჟურნალის რედაქცია დარწმუნებულია როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც მშრომელი ხალხისა და მშობლიურ ხელოვნება-მწერლობის აყვავების მონატრე საზოგადოების თანაგრძნობა არ დაუკლებდა. ამ რწმენით ვიწყებთ განახლებულ მუშაობას.

თეატრის განახლებისთვის



რატომ ხდება, რომ დღეს, დიდი სოციალური ქართულიის შემდეგ ჩვენ ასე მწვევედ ვგრძნობთ ახალი თეატრის მოთხოვნილებას? საზოგადოთ ჩვენი სულის ემოციური შინაარსი შეიცვალა, დღეს ის არ ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ჩვენ გვიჩნდა, რომ ხელოვნებაში გამოხატვის ეს ცვლილება, მაგრამ არადა არ ვგრძნობთ ისე მძაფრად ამ შესაბამისობას ახალ შინაარსსა და ძველ ფორმებს შორის როგორც თეატრში. ჩვენ ხშირად გულგრილად გამოვდივართ მხატვრულ გამოყენებებთან ამ გაღვივებულად, პროტესტს არ ვაცხადებთ, რომ კონცერტებზე ბახის, ბეტჰოვენის ან შოპენის მუსიკალურ პიესებს გეთავაზობენ. ქუჩაში სიარულის დროს ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქალაქების არქიტექტურა მახინჯია, რომ სხვა და სხვა სტილის შენობები არეულია სრულიად უსტილო და ულახაო ყაზარმებში. ხოლო თეატრი ჩვენ ვეკლავებ: ჩვენ ვკამათობთ თეატრალურ პრობლემებზე ისეთივე გააფთრებით როგორც თაც რელიგიურ ეპოქებში სარწმუნოების პრობლემებზე კამათობდნენ, და სექტებათ ვითოშემთ საშუალო საუკუნეების ადამიანებზე.

ეს იმით ხდება, რომ თეატრი ერთგვარი კრებულება, ერთგვარი ეკლესია რომელიც ჩვენს ირრელიგიურ ან, უკეთ ესთქვათ, რელიგიის მაძიებელ საზოგადოებაში მოწოდებულია რადენააღმე მიინა შესცვალის ძველი კრებული თუ ეკლესია და ის თრიოდა და განწმენდის გრძნობა ვაგაუტყვისის, რომლის განცდდენიება აღარ შეუძლია ქრისტიანულ მღვდელმსახურებს.

ყოველ დიდ კულტურულ ეპოქაში თეატრი უშუალოდ ეხმობდა ადამიანის ცენტრალურ პრობლემებს, მკიდროდ იყო შეკავშირებული რელიგიასთან. და თეატრის კრიზისი ცენტრალურ იდეების კრიზისს, რელიგიის კრიზისს მოჰყოლიდა. როცა წარმართმა ღმერთებმა რომის პანთეონი დასტოვეს, დაცალიერდა რომის კოლხეიცი და ნიშის ამფითეატრიც; ქრისტიანული რელიგიური გრძნობის მოღუნებასთან ერთად მოღუნდა ქრისტიანული მისტერიების თეატრი. დღეს ჩვენ ამგვარივე კრიზისს განვიცდით.

ქართულ მელპომენის რავდენათმე ბედმა გაუღიმა, —ისიც მხოლოდ ტყლისში. სახელმწიფო დრამამ სერონი დაიწყო რუსთაველის თეატრში 25 ოქტომბ. ხალხი პირველ წარმოდგენებს ესწრება, შემდეგ კი გულციობს. დეკორაციები ახალი ყაიდისაა, სცენა გალამაზებული. მხატვრულ მხარეს ვანაკვებს ქ. მარჯანიშვილი, რეჟისორია ალ. ახმეტელი, გამეგ—დავ ჩხეიძე.

აკადემიური დასის გარეშე დარჩენილ დამსახურებულ მსახიობთ შეადგინეს ამხანაგობა «ქართული დრამის» სახელით. წარმოდგენებს გამართავენ მკირე თეატრსა და საოპერო თეატრში. სეზონი დაიწყება ხვალ ორშაბათს, „მხსენრბლით“,—ეს არის სიმბოლო მათი თავგანწირულებისა: მშობლიურ თეატრის სამსახურს კვლავ მხსენრბლის შეწირვით იწყებენ: უჯანაპირობის, მხოლოდ შემოსავლის შემყურენი. რეჟისორები ალ. წუწუნავა და კ. ანდრონიკაშვილი, გამეგ—ალ. იმედაშვილი.

ძველმა ღმერთებმა დასტოვეს ტაძრები, მითოსის და მისტერიის ცხოველყოფელი სული გაჰკრა თეატრიდანაც. არავითარ ელექტრონის ეფექტებს, არავითარ მექანიკას და აკრომატიკას არ ძალუძს ამ ცხოველყოფელი შემოქმედებითი სულის შეცლა. თეატრის განახლება განახლებულადამიანის სულის სიღრმეიდ უნდა მოხდეს.

გაეხსენოთ რისთვის შედიოდა ძველი დროის ბერძენი თეატრში და არ შედიოდა ტაძარში, თუქცა ის ღრმად რელიგიური ადამიანი იყო? პრომეთეოსის, იადონოსის და ანტიკვანეს მითოსი ნაცნობი და ახლობელი იყო. მისთვქა, როგორც საშუალო საუკუნის ადამიანისათვის ქრისტეს ენების გადმოცემა იყო. ესქილი, სოფოკლედ და ევრიპიდელ სუექტებს მელი საუკუნეების უფსკრულიდან იღებდნენ. თეატრი ნამდვილი თეატრალური ხელოვნება იყო, ნამდვილი სინთეტური ხელოვნება, ბიტომ რომ ცენტრალური იდეების განსახიერებას წარმოადგენდა. არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა, პოეტური და ანტიკვა და ქორეოგრაფია ერთნაირად შეღულელებული იყენენ თეატრალურ წარმოდგენაში და თვით ამ სინთეტურ ერთეულს ბედის წყრის იღევა ფლობდა. და ბერძენი თეატრიდან გამოდიოდა ამალღებული და გაწმენილი, მიტომ რომ იქ დიდი კოლექტივის სულს უქავიზრდებოდა.

ჩვენ დაეცლიეთ მძაფრი ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი, ახალი საზოგადოებრივი კოლექტივი შეექმენი, რომელიც არ ჰკავს კლასობრივად გაითშობა და დაქსაქსულ საზოგადოებას. რასაკვირველია, ეს არც ათინის დემოკრატია: ელინური თეატრი მისთვის ისევე უცხო და მიუღებელი იქნებოდა, როგორც ბურჟუაზიული დეკადანის თეატრი. მაგრამ თანამედროვე თეატრის ხელოვნებაც უნდა ჩაეშვას ხალხური შემოქმედების სიღრმეში და მოგვეცეს ესთეტური სინთეზი, რომელიც ისეთივე მისტურ თართოლას გამოიწვევს თანამედროვე კოლექტივში, როგორცაა პერიკლეს დროის დემოკრატიაში ესქელის და სოფოკლეს ტრაგედია იწვევდა.

გ. ქ.

სათეატრო მარცვლები

ზუბალაშვილისეულ სახალხო სახლში „წითელი თეატრი“ მოღვაწეობს. წარმოდგენები უფასოა. უმეტესად მონარდი თაობა ესწრება. ხელმძღვანელი დ. კობახიძე, მთავარი რეჟისორი—ალ. წუწუნავა.

ამ სახლში ყოფ. მომუშავე სცენისმოყვარენი დაქსაქსენ: ზოთა ნაძალადგეშ დაიწყეს მუშაობა (ვ. ნინიძის და ან. ლითანიშვილის რეჟისობით), ზოთ—ნიკო გოციოიძის სახელობის სახ. სახლში (ყოფ. ავჭალის აუღიტორია).

რა ხდება სხვაგან?—ამაზე მერე. თანამედროვე თეატრს თამამად შეუძლიან თავის თავზე სთქვას: ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ის ნი ვიქნები—რაც ვარ!..

იოხებ არიმათიელი.

ვანო სარაჯიშვილის პარაფრაზები ვანო



ვანო სარაჯიშვილი როლში—რაულ (ჰუგენოტები)

ქართული ოპერის პირველი არტისტი

ეს იყო ამ 15 წლის წინათ; ზაფხული იდგა. ქია-თურაში დრამატული საზოგადოება მართავდა საღამოს და ამ საღამოში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო ვანო სარაჯიშვილიც.

დიდი სანაზღისი იყო. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი გულს ძვირით ელოდა ამ საღამოს, რათა ენახა და მოესმინა იმ ადამიანის სიმღერა, რომლის სახელი უკვე ფართოდ მოსდგებოდა მთელ საქართველოს და რომელიც ეგრე ძნელი სანახავი იყო პროვინციაში მცხოვრებლები-საივის.

ვანო სარაჯიშვილი ყველას პირზედ ეკერა. პირველად ქართველი საოპერო არტისტი, რომელიც შერია სამშობლო ცერას და რომელსაც ერთხელ ზოტას ასხამდა არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ რუსეთიც, დილაიც მეტად საინტერესო და სასიხარულო მოგვინა იყო.

ვის არ ახსოვს ის დრო. ქართველთა მაშინ დანაგრულობთ გრძნობდა თავს: ოპერა ტუილისში ფართოდებოდა და ფრთებს ისხავდა, საოპერო თეატრის რამხსთან ერთი მფორეს სცვლიდნენ შესანიშნავი მომღერალი მსახიობანი რუსეთისა და საქართველოს დედა ქალაქში ქართველობა მოკლებული იყო საშუალებას მოესმინა ოპერა ქართულ ენაზე.

ია კარგარეთელმა და ცხომელიძემ რამდენჯერმე სცადეს ქართულად ოპერის დადგმა. საზოგადოებას იმედები აღეძრა, მაგრამ ოდნავდაც ვერ მოიკლა წყურთილი: არ იყო ძალა საოპერო ქართველი არტისტი.

და მაშინ ჩვეულებრივი იყო გულიდან ამონახეთქი ჩივილი: რა გვემართება! თითქოს ქართველი ხალხი სიმღერის ნიჭით უხვად არის დაჯილდოვებული, თითქოს ხმებიც კარგი მოიპოვება. რა არის რომ ქართველი საოპერო არტისტები არა გვეყვანან და ქართული ოპერა არა გვაქვსო?

და როდესაც გავარდა ხმა—გამოჩნდა ქართველი მომღერალი, რომელიც ოპერის მშენებდა არისო, ყველას სახე გაუბრწყინდა და ყველას უნდოდა თავის თვალთ ენახა ეს იშვიათი ადამიანი და თავის ყურით მოესმინა მისი სიმღერა.

ქართველი საზოგადოების თავმოყვარეობამ ამ მოვლენაში თავისი დამკაყოფილება ნახა და ეროვნულმა სიამაყემ ფრთა გაშალა.

ეს იყო დიდი მოლოდინი, მოლოდინი სასვე მღელვარებით:—აი, ენახეთ ვანო სარაჯიშვილს, პირველ ქართველ საოპერო არტისტს, რომელსაც უტხონიც აქებენ დიდათ; მაგრამ შესძლებს კი იგი ჩასწვდეს ჩვენს გულს და გეგარძნობიო? სამშობლო ჰანგების სიდიადე, მათი მომთბელებლობა და ჩვენს გაღვიძებულ სიამაყეს მძლავრი აღმაფერხა განაცდიევოს!?

აი, კითხვა, რომელიც ყველას უტრიალებდა თავში და ხალხი სასწაულს ელოდა.

და იმ საღამოს მთელი ის ქუთხე მოზღვავდა, თეატრის დარბაზს მოაწყდა.

სულგანაბელი ელოდა ხალხი ვანოს გამოსვლას და მოუთმენლად ისმენდა იმ განყოფილებებს, რომელიც მის გამოსვლას წინ უძღოდა.

დადაც საინტერესო წყუთი. სცენაზე გამოჩნდა ლამაზი ახალგაზრდა, ტან ლერწამი, მოზღვნილი ვანო და დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით გარდაიქცა.

გაისმა პირველი აკკორდი პიანინოსი და მთელი დარბაზი ერთხანით მიჩუმდა ისე, რომ ეს მოკრძალებით და დიდი მოლოდინით აღსავეც დიდი სიჩუმე ყველა ჩვენგანს შიშის ურუნატელს ჰგვრიდა.

და მოგვესმა იადონის ტკბილი გალობა, აღსავეც გრძნობით, კეთილმოზილებით და მშობლიური ჰანგების სანეტარო აქურებით. სიხარულის და აღტაცების ღიმილმა მძლავრად გადაიარა დარბაზის სახეზე და თვალთავან ნეტარების ცრემლი გამოსწურა.

გაღვიძებულმა სიამაყემ, არწივისებურად ფრთა დაწვლილმა, მალა ცის კაპარაში შეინაყარა და ქვეყანას მისდლო დიდი ოცნება ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და წინსვლისა.

იმ საღამოს დიდმა და პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ჯეულმა თუ მიხუცმა გულით შეიყვარა ჩვენი იადონი.

მისი შოშორება აღარავის უნდოდა, სცენიდან აღორ უშვებდნენ, ემუღარებოდნენ ერთი კიდევ ემღერა, რომ ერთხელ კიდევ ენახა ნეტარების ნეტარი.

და მთელ ღამეს, მეორე დღის ხალხი ვანოს გარს შემოხვევდა, არ შორდებოდა, მისი ხილვა სწყუროდა, მასთან ყოფნა უნდოდა მარად...

სასწაული მიხბდა. ვანო მოველინა ჩვენის ქვეყნის სიდუხჭირეს ნუგეზის ანგელოზად, გულის ტკივილებს დაშაბებულ იაღრნათ და ჩვენმა ერთგულმა მუსიკამაც ფრთა გაშალა... ვანო იყო ის დასაყრდნობი წერტილი, რომელზედაც დაებჯინა ჩვენში სამუსიკო ხელოვნება, ვით არტიმედის ახარამაც, და ესოდენი ნაყოფი გამოიღო ასე მოკლე ხანში.

მის დღეს აქეთ ვანო გადაიქცა ერის სათაყვანო ადამიანად, ხალხის სიამაყედ...

ჩვენ კვლავ ვნახეთ იგი დიდებით და ერის უსაზღვრო სიყვარულის შარავნდებით შემქმელი მისი იფიქრეს საღამოს. მოზღვავებული ქართული საზოგადოება მის დღესასწაულს ზეიმობდა და დაუნის გვირგვინით ამკობდა მის ლამაზ, ზეგარდნო მადლით ცხებულ შუბლს.

მადლობის სამშობლო სიყვარულით და სასოებით აღსავსე მადლობას უძღვნიდა.

რის შემკლე იყო ვანო, ეს ცხადათ ვიგრძენით შარვან სეზონის დასასრულზე ვინც ვნახეთ იგი აბესალომის როლში.

ეს საღამო, მისი სახე, სახე ტანჯული აბესალომისა, მისი კენესა, სიყვარულით დაფარული გულიდან ამონახეთქი, წარუშლელი და დაუფიქრებია.

და ვინ იფიქრებდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი მღერო, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ამოძახილი სცენაზე, რომელმაც ყველა შესძრა და აატკა.

ვინ იფიქრებდა, რომ მის გულს ისევე ღრღნიდა უკურნებელი სენი, როგორც ჩვენთვის მის მიერ საყვარელი და საბრალო აბესალომის გულს!

ვაგლახ! მწარეა ჩვენი ხედვრი. მისი დაკარგვით ფრთებ შეკვეცილი ჩვენი სიამაყის, არწივი, ღრუბლებს ზევით რომ იყო აწეული, ძირს ეშვება და ლამის უიმედობამ მოიცავს ჩვენს გულს.

მაგრამ ვანოს სახე, ვანოს ღვთიური გრძობით აღსავსე ჰანგები თან გვდევს, წინ გვიძღვის და მისის ღვაწლით და დიდი გამოარჯევით გამხნივებული სამშობლო ქვეყნის აკვანი კვლავ აღზრდის მისზე მლოცველს; მის მიზნაძეველ ახალგაზრდობას, რომელიც მნენთ და ამაყათ მაღლა ამართავს ერთგულ ხელოვნების დროშას, რომელზედაც დააწერს: „გაუმარჯოს ვანო სარაჯიშვილს“.

იხ. ვარაზაშვილი.

ბ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი!
რამდენი ტრაგედიაა და ცრემლი ამ სიტყვებში...
საშინელია ბედი არტისტის... ერის მხასოვრობაში წმინდა სოკონების აზრდილები რჩებიან მხოლოდ, იმ ღვთიური ცეცხლის აღმადურენისაგან, რომლითაც იწვეის სცენიური შემოქმედო.

ამაშია საშინელი ბედი და გაორკეცებული სევდა...

მაგრამ დილა სახელები: სარაზ ბერნარს, ელენორა დუზე, კარუზო იმავე მწვერვალებიდან გაფურცლებენ ცაობრიობის შორიულ პერსპექტივებს, საიდანაც მზერის მარადიული თვლით; დანტე, შექსპირი, გოეთე...

ჩვენთვის ვანო სარაჯიშვილის გახსენება მუდამ უკნება დაკავშირებული ჩვენი კულტურის საერთო ბედთან. არა მგონია საქართველოში დარჩეს ერთი ადამიანი მაინც, რომელმაც ვანო სარაჯიშვილის უღროვო დაკარგვას ქართული ხელოვნების ფაქტში არ დაუკავშიროს. იმეათია არტისტის ისეთი ღვთიური ტემპერამენტით და პოეტური ექსტაზით, როგორც იყო ვანო სარაჯიშვილი.

ვანო სარაჯიშვილი იყო სული შემოქმედებაში დამწვარი ადამიანის.

არც ერთი მშრალი ნოტა! არის ხმა, რომელშიაც ისმის რასისული ტემპერამენტის როკვა.

პირვეთა: ხმაში შესაძლოა ისმოდეს უღრესი პერსონალური „თავისიანობა“ არტიტიული შემოქმედების.

ვანო სარაჯიშვილის ხმა მე მესახება სულ სხვა ხაზებში. მასში იყო ღვთაებრივი სინთეზი რასისული და პიროვნული ცხოვრებაში იღვბის.

ამაშია ვანო სარაჯიშვილის მარადიული განსმეორებლობა.

არის მეორე გარემოება, რომელიც უფრო მეტად არის აღსანიშნავი და საყურადღებო. ესაა ქართული ოპერის ისტორია, რომელიც არ დაიწერება ვანო სარაჯიშვილის სახელის გარეშე. უფრო მეტი: ვინც ნახა ვანო ქართული ოპერის სცენაზე, მან შეჰქენა თავის თავში სარაჯიშვილის აპოლოგია, მძაფრი და უჩვეულო, როგორც პსიხიზი. მე არა მგონია ვინმეც დასძლიოს ახრი, თუ როგორაა შესაძლო ქართული ოპერა სარაჯიშვილის გარეშე.

მინდა ვიწამო, რომ ქართული პოეზია და ხელოვნება შექმნის ლეგენდას ვანო სარაჯიშვილზე. ეს იქნება ყველაზე ძვირფასი სახელი ჩვენი ხელოვნების პანთეონში.

6.

ტაკილ ჰანგთა მუჟუ.

მრავალ ათეულ წელთა განვლის შემდეგ სამშობლოს ცახე კვლავ გამოჩნდა გათენების წინამორბედი:

მომღერალი ვანო სარაჯიშვილი!

რაც სიცოცხლეში ვერ მოასწერო თვისი გულიდან მომქედარ ჰანგთა შეხმატბილებით, ის სიკვილით შთაგებერა—თვითარსებობის რწმენა განგვიტკიცა;

ქართულ ოპერასა და ქართველ საოპერო მომღერალს მხოლოდ მოქალაქეობა დაემკვიდრა, მშობლიურ საოპერო ხელოვნების დროშა მაღლა ააფრიალა!

ამიერიდან საქართველოს ღელა-ქალაქში სახელმწიფო საოპერო თეატრის ფარგალში აღიმართება მისი ძეგლიც:

ერთს მზარეს პოეზიის შექურა აკაკი, მეორეს—სიმღერის ჯადო-მოსანი ვანო!

ამ ორი დიდი ხელოვანი-შემოქმედების ძეგლი ყველა ხელოვანს, ყოველ მაღალ ზნე-გონებეირ ადამიანს შთაგონებს, რომ საქართველო იყო, არის და იქნება სილაზისი, სიყვარულისა და ტაკილ ჰანგთა ქვეყანა.

და ამ დარგში დიდ ერებთანაც შეგვიძლიან გაჯიბრება.

ვანოს შესახებ ბევრი ითქვა, ბევრიც ითქმის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩება უთქმელი, ვგონებ თავისებური, თვითშემოქმედა იყო იგი.



მკირე მოგონება:
კახეთში ერთი კონცერტის შემდეგ ვახშამი გაიმართა. ნაღმი გაგრილდა.

— ნუ დავიძინებ! ვანოს ვაჩვენოთ როგორია განთიადი, გათნება აოზნის ველზეო, — წარმოსთქვა ერთმა ითქვა. აღსრულდა.

მხიარულება დაუღვევლი იყო, ქიფი კახური, სიმღერა არა-ჩვეულებრივი..

განთიადის ფრინველ დაიწყეს შეხმატებლებული გალობა, ბლში იაღონი ავენსდა, თითქოს დიდს მომღერალს ეჯიბრებოთ, ეგოდენ ძლიერი იყო გალობა მისი.

ვანომ ყური აკვიტრა, მერე შეჰმღერა და...

ირგვლე ყოველივე მიუყრდა. ყოველი სულდგმულნი სმენად გადაქცნენ. ფრინველთ შესწევით გალობა, იაღონმა ხმა გაქცინა. . . ღრმა ძალისაგან გამოღვიძებული სოფელი სულგანაზული უსმენდა ჯადო სიმღერას...

ვანომ დასძალა ეზბით დათვარალი გავაბრებლებული იაღონი.

შემართად, იგი იყო ის მომღერალი, რომლის შეკახებაც ჩვენი სულმნათი შთაა იტყვის:

რა ესმოდის მღერა ყმისა
სმენად მხეცი მოვიდინ,
მისეე ხმისა სიტკოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდნენ
რა ატრიდა-ატრიდანი! *)

*) ამ ლექსის პირველი თხზილება აწერდა იმ დროს საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, პროფ. ვანო სტუდენტისძე. ლექსი შედგენილია 1927 წელს, სახელზე: სოქო. თეატრის და სხვა. ძეგლის კომისიის უნდა წევრისა და ამავე უკეთესი არ შეიძლება.

ვანო სარაჯიშვილზე უკეთესი მომღერალი, შესაძლოა, გამოჩნდეს (და ეს ასეც იქნება: ჩვენი ხალხის თვით-შემოქმედობის უნარი ამის თავდებია), მაგრამ ვანო სარაჯიშვილი-კი აღარ იქნება,—იგი იყო განუყოფელი, ერთადერთი, უტუნ ბუნების საუკუნეთა მადანის ერთეული ჯგაფარი!

ჩვენს ხალხურ სასიმღერო შემოქმედებას დღის ცისკარად მოეგონა, ვითარცა ტკბილ მანეთს მუფევი, დამიერიდან მშობლიურ ოპერას შეჰდა წარუღლებვა წინ ბრწყინვალე მომავლისკენ!.. იხსებ იმედაშვილი.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას

იმ ერს, რომელსაც არა ჰქონია და არცა ჰბადია სულიერი სიმდიდრე, რომელიც თავს არ იმტვრევს უმატიანი იდეებისადმი თავყანისცემით; იმ ერს, რომელსაც არ ჰყოლია და არცა ჰყავს კულტურის არც ერთ დარჯში არამც თუ დამამშვენებელი და გენიოსი, არამედ უმნიშვნელო მოღვაწე-კი, ის არას დროს არ განიცდის ქმნივასა და სევდას... არ-რის მქონეს არაფერი დიკარგება ისეთი, რამაც გული დათუთუტოს. ასეთი კი არა ერთი ერთი ბინადრობს დედამიწაზე.

ქართველი ხალხი არ ეკუთვნის ამ კატეგორიას. ჩვენი ისტორიული სათავე-კი მშვენიერია, შინაარსიანი და მოუფენი უფროდ მარგალიტებით. რაც შეეხება თვით ისტორიულ ცხოვრების მიმდინარეობა-განვითარებას, მას ჰქონდა ეკლიანი გზა, რომელთაც ნელა მიიწურებოდა იერი, კულტურის ჩვენი ცხოვრება. თუმცა, ხანდახან, მიუღ საუკუნეების განმავლობაში ერის ცხოვრებას აჩერებდენ ამ გზის ხლართები და ეკლები, რომლებიც ხალხის ზრახვებს უკან ეწეოდენ.

ასეთ ვარამის ქვეშ არა ერთჯერ ამოუქენია, იალბუხზე მიკრულ ზოპაოფ ამირანი-გითი, დაუძლურებულ, მაგრამ მაინც მრისხანე ქართველ ხალხს.

ახალი სულეგი

მდევარს უძლოდა გურგენი, ლეკეთის ნაიბმა მოსტაცა საცოლო და გულ-არეული ჰკეცლავდა იელიან გორს. სანგარში იჯდა და აქ უნდოდა გურგენს პირის-პირ შეჰყროდა სიყვარულის მოცილეს.

ღამის დღეგვამა. შავი ნისლები ატირებდენ მთახელო.

— წავიდეთ, წავიდეთ! — იძახდა სიბნელეში ქალის ხმა.

გურგენი სმენად გადაიტყა: ცოტა ხანიც და მის წინ უეცრეო ორი აჩრდილი გაჩნდა. ესენი იყვნენ: ლეკეთის ნაიბ-მუხამა და თუშეთის ასული სალომე. ერთ-ერთის ეზბით მოქანტულნი, ჩამოსდნენ ხავერდად გაშლილ დეკნარზე და ეზხიან სიყვარულის კოცნით ეხეოდენ სიცოცხლის ბავეთ.

— რა ღამეზები არიან უბედურნი!.. გაიფიქრა გურგენმა და მოხდენით თოფი შეატრიალას; მაგრამ იმავე წმის რალცა მძლავრი მოსწყდა გონებას; შეყვარებულთა სითბო შეეპარა მის გულს და ტკბილად მიიძინა გონობათა გულის დარაჯი, თოფის გრიალმა ვამოარტია იგი, და გონზე მოსულს მოესმა ქალის სასიკვდილო კენესა. მთვარეგამც აიხადა ღრუბლების ფარდა და საიღუმლოდ გადამოხედა სახაროს.

გურგენი უხმოდ მიეარდა მომაკვდავთ და მოშინჯავნატყვიარი. სალომემ მიეარის შეუქნე მოხარა ღამაზი სახე, რა იცნო უტხო თვალები — მძულხარ! მძულხარ! — ძლიეს წამოიძახა და სამუდამოდ ჩაებუტა მიჯნურის გაცივებულ გვამს.

— მძულხარ! მძულხარ! — ეს საიდუმლო ხმა არ შორდებოდა გურგენს და სიბრალულით დასტკეპროდა მიცვალებულთა. — რისთვის, რისთვის!.. — ჰფიქრობდა იგი ცრემლმორტული და ის იყო მისი ტანჯვისა და სიყვარულის პირველი ცრემლი

პირიშით, სადაც საზღვარია ჩაღმათ-ლიდოეთისა, მრავალი დეკანი ჰყავს. ჩრობებილმა გადმოფურთხლომა ქტირემა რაკომ პირველმა გადმოსიროლა თუშეთში მწარე ნაღველი სალომე ქალისა და თოფის ხმით შეშინებულმა ფრინველმა ყვავილოვან ფერღობზე განაბა სული.

გათენდა ამომავალი მზე დაბლა ფიქვიან ტყეს დაჰყურებდა. გაბნეული სიგივი გირჩას უღურესებდა და მის მრავალ ილიაში ჰჭებოდა; მთის კალთაზე მოსული ყვავილინი ააქანა ანდატეს ყოისუს სიომ და მზის ეზბით დამინარე ქირხლი მარგალიტებდად აბნია მოწყას.

შორიდან მოისმოდა ლეკური დაუფურთხის ხმა; ამით მარხადდენ ლეკეთის ნაიბს მუხამას. კარ-ნათესავთ მიტოვებული სალომეს გვამი კი ობლად სტკენებდა ფერადოვან ყვავილთა შორის.

მე არ მიყვარს გადამეტება. ეს ყველაფერი ცხადია დღეს, ქართველ ხალხის კულტურულ საღაროში: ეს არის ჩვენი სულიერი განძი. ამ საგანძურის ერთი საუკეთესო დამამშვენებელთაგანი იყო ვანო სარაჯიშვილი, რომელიც მძლავრ ფრთებიან არწივსა ჰგავდა; ის უმეტოქო მულო-ბელი იყო ჩვენის სულიერ სიმშვენიერისა და სიმალის ატმოსფეროსი. მან განავითარა ხალხში აღფრთოვანება და აღმშფრთვანა.

დღეს-კი ფერმიხდილმა, სამუდამოთ შეჭკვეცა მძლავ-რი ფრთები ქართველ ხალხის სულიერ მწვერვალების მეუღეზე, მისმა სიამ-ყემ; უხომად ჩაეშვა უფსკრულს და უხილავ იქნა.

მას ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ, მაგრამ ხალხის გულში იქნება მისი დაუფიქსირარი ხსოვნა მანამდე, სანამ რუსთაველის ქუჩის ამშვენებელთაგანების მშვენიერი ტაძარი, სადაც დადიან სახალხო მსახიობი წმინდა ხელუ-ნებას ემსახურებოდა, და რომლის გვერდითაც მას უთა-ვაჭეს საუკუნო სავანე.

გ რ . ჰ ა ვ ე ნ ი ე ბ ი.

ქართველ მოღვაწეთა ლეკსიკონი

(იხებე იმედაშვილის ხელთნაწერიდა)

სარაჯიშვილი, ვანო (ივანე) პეტრეს ძე (1880—1924)—მსახიობ-მომღერალი, ღირიული ტენორი, რეს-პუბლიკის სახალხო არტისტი,—მეთორმეტე შვილი დედ-მამის (მამა—ყოფი. ინჟინერი, სიღნაღის ნოტარიუსი, დედ-ა—ევგენია რუსივე-ყოჩბაძეშვილის ასული), დაიბადა 1880 წ. 5 V ქ. სიღნაღ. მღერა დაიწყო 6 წ., 7 წ. სათ.-ა 1896. სკოლაში მიიბარეს. აქ შესვლისათვის მოწაფეთა გუნდში მღეროდა, ამავე დროს ვიოლონჩელზე დაკვრას სწავლობდა (თავის ბიძაშვილი—ცნობილ ვიოლონჩელისტ ევ. სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით). 16—17 წ. გადა-

ვიდა ტფ. სამუსიკო სასწავლებელში ვიოლონჩელზე და-კვრის შესწავლის განსაგრძობად, იმავე დროს ალ. კავსა-ძის მოძო-ვლად გუნდში მღეროდა. სიღნაღის გამო სამ-სახურში (ტფ. ხაზინაში) განიზრახა შესვლა, მაგრამ რ-დან ვარსებლის მოციქული ქართველებს არ სწყალობდენ, პირველად ვერ შეიძლო. ამ ხანებში პალატის უფროსმა მიხაილოვმა ერთ ნაღიბზე შემიხვედით მოისმინა“ ს—ის სიმღერა და ისე მოიწონა, რომ სახაზინო პალატაში მიიღო საპატიო ადგილზე და კარგი ფაშაგირიც დაწინ-ყნა; მისივე დახმარებით ქართ.-კახეთის თავ.-ანხ. ს—ს სტიპენდია დაუნდნა და 1903 წ. პეტროგრადს გაგზავნა სიმღერის შესასწავლად, შემდეგში სტიპენდია დაუნდნა დაე. **სარაჯიშვილმა.**

სწავლობდა რუსეთის შესანიშნავ მომღერალ პროფ. ბარიტონ პრიანიშნიკოვთან, შემდეგ—ცნობილ პროფ. ქნ პანტეევ-კარცევსთან. 1906 წ. მისი მეოხებით იტა-ლიურ ოპერაში იმღერა. პირველ გამოსვლისათვისე სა-ზოგადოებას ძლიერ მოეწონა. ამავე წელს ტფ. მოიწვიეს საგასტროლოდ: იმღერა აღფრედი, პერსოვო (პრიგოლე-ტო“), ფაუსტი და ლენსკი (ევე. ონგე“), რომელია შე-საუბრებით გამარჯვების მწვერვალს მიიხვია ვითარა მშვენიერი ხმ-სა და მგზნებარ გრძობის მქონემ. 1906 წ. იტალიას (მილანს) გაეჭავარა. ლასკალს თეატრში გამოცდის შემდეგ პარმაში მიიწვიეს, 1909 წ. პეტრო-გრადს (გვირდის მხარე). აქ წასვლამდე ტფ. სახ. თეატრ-ში მოიპატიეს: იმღერა ნაღირა (ჰაბო. მად.“). იგიველმ მიახტერი („მინიონი“). საზავხულოდ მღეროდა კისლო-დელსკში, მერე სიმპიონში, შემდეგ ხანებში ტფილისს, პეტროგრადში და პარმაში, 1918 წ-ან ტფ. სახელმწიფო თეატრში, აგრედვე პროვინციას ესტუმრებოდა ხოლმე, მონაწილეობდა მრავალ საკონცერტო საღამოში. ზემო ჩამოთვლილ როლებს გარდა უფსრულეობია: გერმანი-

გ ლ ვ ა დ ი დ ა თ ო გ ო კ ა ვ ა ს ი ო ნ ი ს ქ ე დ ი ს მ ვ ე რ - ე ა ლ ო ბ ე ბ ე . თ ო გ ო ს თ ე თ ი რ ზ ო ლ ი დ ა ნ მ ო ლ ო დ ქ ი ნ ა ხ - კ ლ დ ე - ლ რ ე ნ ი მ ო ს ჩ ა ნ დ ე ნ შ ა ვ ა დ . მ ა რ ა გ ი ა ნ ი ლ ა მ ე ბ ე თ ქ ო ლ - დ ე ბ ო დ ა თ ო გ ო ლ .

შებინდების ხანს, ალატრების ვიქრო ხორხში, მარ-ტოდ მარტო. გუდა ნაზად აკიდებულს მეზავარი ჰქალაქ-და თოვლს. უკან მოსდევდა ყელ ჩანგლიანი ძალი და საბარლო თვლით უფსკერდა უგზობით დამაშურალ პატრონი. ძლიეს მიალწა მეზავრმა გადასავალ ცერს; აქ გამომდებთი იცის ზამთარ-ზავხულოში ყინული, ყინული დახეულია მრავალ ალაგას და მის ქვედა პირიდან მოის-მის ხვეის სახარელი ხნაური. მეზავრმა მოიკრიფა ღონე, მოეკიდა ბროლის კლდის ყინულის შუბს და გადმოხვდა კახეთს. ალაზნის ყინაზხს გააყულო თვლი.—იქ სადაც თავდება ეს ზოლი ხომ შირაქია?—გაიფიქრა მეზავრმა და თვალ წინ წარმოუდგა ვანელილი სიყმაწვილე: ცხვარი, ბინა, ტლო-ანახანაწი.—წყაიდე?! ვილას უნდებოდა,—გა-იფიქრა კვლავ და მწარედ მიიარუნა შუბლი გომბორის ცივ მთებს. კიდევ შორს, შორს ცივის ვაღაღმა—ტფი-ლისისაკენ ვასტუკორცნა მეზავრმა თვალები, მაგრამ სი-ცივით მოწყლიანებული, უშოდ საყვარელ ძალს მისაყე-ნა. საქართველოს შვილს, საქართველოს გულის მიდაიყე-ბი, შორეულ—უტეხო მზარედ მიანდა. ვერ დაიბო-

მეზავრმა ესოდენი სიშორე სივრცისა და მთა-ხევთა თე-თი სამოსი უცნაურ მოარულად გადაექცა: თოვლის ხა-ევერდზე მოხაზული მარაო ლაგვართ პერის სივრცეში მიაცილა და იქ, იმ სიკაიელოში—ხელ-მკლავ გაშლილი ლეკი გულში იხუტებდა მეოცნებე ასულს.

სატრფოს მიტოვებულთ, ახლა სხვა გზით მიდიოდა. სულ ახალი გზით. მის წინ უთვალავ ყინულის რაშები მიჰქრებოდა. უნდოდა მეზავრს, სამუდამოდა, სამუდამოდ მოჰშორებოდა ნაცნობ მიწა-წყალს და სიკეე სურვილი ჰპარავდა ცრემლებს.—ქალქი?..—სადაც ვაგეო, უნდო-და მოეგონა ნაამბობიდან, მაგრამ ძალის ყვეამ გამო-არკია: სიცივით შეწუხებული პირუტყვი სამშვიდობო-სკენ აშურებდა პატრონს. სიცივე აღურჯებდა კანს, გო-ნებას უკარავდა მოგზაურს და ფერადის ოცნებებიც ერთი მეორეს ემბოდენ. უეცრად ამოვარდა ქარი; ნამქე-რი ერთმანერთს აერია და ჯოჯობის სიცივე დაეფუ-ლა თეთრად ვადაღესილ ცერებს. უყუნეთი იყო და ამ ქარის ზუსტუნს ყრუდ უერთდებოდა საბარლო ძალის ყმული. საცოდავი პირუტყვი!.. გრძობდა თუ სიკვდი-ლის ზმანებდა, ან იქნებ პატრონის უმბედურება მისო-ქვამდა, ფერად-ოცნებებში რომ დალია სული?! ნამქე-რი ერთხელ კიდევ დაიზუსტუნა და სადაც ღრმა ხევი გა-დაიყოლა პირუტყვის უკანასკნელი ძახილი.

* * *



(„პიკის ქალი“), რაულ („ჰუგენოტები“), რადამეს („აიდა“), აბესალომ („მ. და ეთ.“), დონ-ხოზე („ქარმენ“), კოვარდის („ტოსკა“), შოთა („თქმ. შოთა რუსთ.“), თეიმურაზ („სელია“), ირაკლი („ლიალიტი“), მალხაზ („დაი-სი“ და სხ. უმღერიალმა მანაშაველი, შეუსრულებია სხვადასხვა სახისა და მუსიკალურ ხასიათის როლი (აბესალომში 100-ზე მეტჯერ). გასოცარის თავისებურობითა და სიმშვენიერით ასრულებდა „ურმული“-ს, „ჩაქარული“-ს, „ინდიმინდი“-ს, „გენაცვალე“-ს და სხვ. ხმა მისი გულის სიღრმემიდი წყვედობდა, მსმენელს აჯადოებდა. ახასიათებდა საუცხოო გამოთქმა (დიქცია), წინადადებების გამომეტყველება, მუსიკალურ კილო-ჰანგათა შეგნება, ბგერათა მრავალფეროვნება. როგორც ქართველმა არსებობს და ევროპაში პირველობის სახელი მიიღოვდა და ქართულ სამუსიკო შემოქმედებას ფრთა შეასხა. მთავარ მონაწილეობას იღებდა ყოველ ქართულ ოპერაში. შექმნა თავისებურ-მშობლიური მუსიკალურ-სცენიური სახეები. იყო ქართული მუსიკის მესიალმული, ხის თავისებურობის ღრმა შემგონობი. 1923 წ. 16/1 დიდის ზეიმით გადაუხადეს 20 წ. სამსახიობო მოღვაწეობის იუბილე, საბჭოთა ხელისუფლებამ უბოძა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, გარდ. 1924 წ. 11/XI ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, დაიკარგა ტვ. სახელმწიფო ოპერის თეატრის გვერდით ბაღში, საარაკო დიდებით, მთავრობის ხარჯით, მიეღო ერის გლოვით. —ს სამსახიობო მოღვაწეობას მრავალი წერილი აქვს მიძღვნოლი, ცალკე გამოცემულია „ენო სარაჯიშვილი, 20 წ. იუბილეს გამო“, ინ.ენისა, 1923 წ.

ზანო სარაჯიშვილი

გაწყენენ სიმებ... და უღეროვან აკკორდთ ქვითინში, მკითაო შემოდგომის მზის სხივები აფრქვევენ ცრემლებს, და მკაცრ სიკვდილს გამარჯვებულ უხბო სისინში, ნაზი სიციცხლე შენს დაიკარგვას ჰკლოვობს და ჰკლოვობს. დაიმსხვრა არფა მიმზობლივი... ნეტა სად გაპქრენ მარგალიტები ხვერდოვან ხმათა ბერისა? ბნელ შემოდგომის ძაბთ მოსოლ ნისლო შოანიტენ, და დარჩა მხოლოდ ყრუ ქვითინი შენი ერისა? ოპ, დაწყველილი მღვმარება რას არ გვეგონეს! შეგი სიკვლილი დაჰკლიდა შენს მიმქაოლ ბაგეს, ვინ გავგანგებს ხვერდოვან უღეროვან ჰანგებს, ვინდა აღნთიგებს შენს ტკბოლ ხმაში მგზნებარ სიციცხლეს? ან რისთვის მღეროდი „თაყო ბედი არ გიწერია“, რისთვის უხმობს აბრესლობს ტყეში ეთერი, განა შენს ტკბოლ ხმას ჩვენთვის აქმზით არ უღერია? ხრანს საჭარბივლის არ ჰქონია დღეს შენი ბედი.

ლაშარ ტარუაშვილი

მეთრის გოდება

(ვ. სარაჯიშვილის ხსოვნას)

...და იყო დრო, როდესაც მშვენიერებით მოკლულ მიდამოებში გაქაოდა უქვირფასესი ჩემი სულის სწორი აბესალომი. მის ჰამრტაცი და მგრანობიარე ხმა დღერის ნანასავით ჩამურჩილებდა გულში და მიხმობდა მისდა სასიხარულით. დღინაცვლისგან დაჩაგრული მივენდე მას გულით და სულით, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა გამომტაცა იგი და დაბოძა. მხიარულება შექცევალი მწუხარებათა და კვლავ ვადივარ დიდობაცვლის კარზე და ცხარე ცრემლით ჩემთად ერთად ჩემი ერი დასტირის აბესალომის გვაშს. მხოლოდ შორს, მთის ფერდობზე სდგას მურმანი და მწუხარების ნაცვლად ჯადოსნურად ილიმება და ჩემს სხეულზე ოცნებობს, ხოლო ხალხი კი სტირის და სტირის, რომ აღარა ჰკავს აზოვანი, რაიდი და სულით სპეტაკი აბესალომი...

ს. ი.

ვაზაფხულის ღამე იყო, ცქრიტი-ვარსკვლავიანი. მეცხვარები ასეთ ღამეს—საველე ღამეს ეძახიან. მთის მიძინებული ხეები საიდუმლოდ ჩასტიროდენ ქალებს. აქა-იქ ბინებინად მოისმობა ძაღლების დრო-გამოშვებითი ყეფა. კენის ბინაზე დიდი ცეცხლი ენთო; ხანში შესული მეცხვარე ცეცხლი პირს იჯდა და ჯიხზე ცხერის სათვალავს ანგარიშობდა.

მალო ცერიად ძახილი მოისმა; სადღაც შორს კვლავ განმეორდა იგი და მისუსტებულ უღრან სქალაში ჩაკვდა. სარქალმა შემას შეუჩინხინა, მრავალი ცეცხლი წამოიშალა და ღამის სიბნელეში შოანიტქა. ძახილი კვლავ განმეორდა.— თოდლო! ხმა მისცა მებატკენმ; პასუხი არ იყო.—ბალოლო! ხმა აღრამოილო, ახალი სული იქნება ეინმე!—გადფრთხილა სარქალმა.—ეინ ახალი სული, ბიძაძე?— შეეითხა მებატკენ სარქალს, როდესაც ცეცხლს მოუახლოვდა და ცარიელ საპალნის კეხზე ჩამოჯდა.

— ხომ ვახსოვს, ჩვენშით უჯრგენი? მისი საცოლო დიდოს გაპყვა ქორწილის ღამეს, თვითონ გავეიჯდა და თავისი სული ამ ჩვენი ბინის ცერებს მიბაბრა.

— ამბობენ ვითომ ლეკის მთის ცერებზე გადმოდგება სალომეს არდილი, ხელში ნაიბის გული უქირავს და სტირის დაკარგულ სიციცხლსაო; გურგენის სული კი თურმე ამ დროს აქედან აძლევს ხმას, შესთხოვს პარტიე-

ბას, მაგრამ გლოვილით, ჩემო ძმის წული, ვის გაუმთელებია ბერი როსტომის გული?! საბრალო სალომე?!

ასე ვაიათავა ამბავი სარქალმა.

— საბრალო გურგენი!.

ამიოობრა მებატკენმ, აილო თქვა-ნაბადი, ვაილო თოფი მხარზე და ღამის სიბნელეში გაპქრა. სადღაც შორს თოფი ვავარდა; ხევიდან-ხეგს გადაეცა მისი ქუბილი. მთა-ხეთთა გამოძახილზე გადადდა კლდის ძირში მწოლარე ჯიხები დინჯად აახილა თვალები, შემიბრტყა ყელ-ყური და კვლავ მიიძინა გუნება მიმიდ.

— დასაქციე! ნადირი თუ მიუფიდა მონამგლეო, წაილდულლუა თოფის ხმაზე სარქალმა და უფრო ახლოს მიუჯდა ცეცხლს.

თოდლო მოისმა სვედიანი სიმღერის ხმა; მებატკენ მღეროდა:

„ქალი ქერია, ბედშვიო, სიღამ რა დაითესება, კარჯე ყრბ ისროს ქოჯიო გაქირდეს, დაიხარჯება“-ო.

— ჰი, გიდი ჯვილობავ! ამიოობრა სარქალმა და ცეცხლის პირას მიხუტა თვალთ.

რ. მურთაზაშვილი.



ვანო სარაჯიშვილი კუგოში

ნახტი ირ. თოდისა

საქართველოს ხუჭუჭ ქალებს
ბულბული ჰყავს მკედარი;
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს ცრემლის ცვარი.

ობლობას გრძნობს ტურფა ჰალა,
გაჰქრა ლხენა, სტვენა;
ჰანგთა მეფე გარდიცვალა,
მოკვდა აღმფრენა.

მოკვდა, ველარ შემოსძახებს
ხმა-ტკბილ ტიფ-ტიფს;
ჰალაც მისთვის შეჰვაგლახებს
და შეეღას სთხოვს ნიავს.

მორჩა, ველარ გააღვიძებს
საუკუნოდ მძინარს;
ველარავინ ვერ მოისმენს
ჰანგებს მოუწყინარს.

საქართველოს ხუჭუჭ ქალებს
ბულბული ჰყავს მკედარი;
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს ცრემლის ცვარი.

თეთრ სასახლეში
მე მიყვარდა ღია ფერები.
დღეს კი ღიარ ხარ...
და დარბაზში თაღი ჩაიკვა.
ამ სასახლეში მაგონდება მხოლოდ ზეიმი,
ამ სასახლეში მაგონდება მხოლოდ მოლხენა.
აჰ! მღეროდი!
აჰ გისმენდი!
აჰ ჯადოსნური ჰანგი
ლამობდა ქერის გარღვევას.
თეთრ სასახლეში
მე მიყვარდა ღია ფერები..
დღეს კი...
შავი ესტრადა,
გლოვა, ტრაფური
სარკეებზე ყორნების ფრთებათ
მარბაში დღავს.
სევდით კვითინებს შოპენის მარში:
— შენ აღარა ხარ!
შენ აღარა ხარ, შენ—
სიმღერის ბატონიშვილი!
აღარა ხარ... და შენს გარშემო
ზღვა მოგარდნილა,
ზღვა სეცდისა.
ზღვა ცოცხალ ხალხის.
კვლავ დაითალხა საქართველო.
შენც ჩამოგვშორდი.
და მკვდრები ცოცხლებს, სამარცხვინოთ,
გვიდალაჯებენ.

გ. ქუჩიშვილი.

მარიჯან.

მთხარეს

როგორ ციმციმებ, როგორ იცინი,
მთვარე, ნეტავი მისცურავ საით?
ჩემი ბავშვობა შ.წ.ში ვიცანი,
მეც ვიცინოდი უწინ შენსავით...

დღესაც იცინი და გიხარიან,
დღესაც, როს სევდა მაწევს ზეინებად,
აღბად, სამარეს რომ გამითხრიან,
შენ ისევ ასე გაგვიცინება!

ი. გრიშაშვილი.



დამსახურებული მწერალი
სოფ. მგალობლიშვილი.



ნიკ. ქუმსიაშვილი. გამოვიდა საოპ.
თეატრში 26—XI „დაის“-ში (გაოპ.)



უკანასკნელი სიმღერა და არავინ...

(ვანო და სიმღერა კუბოში)

იყო სიმავე და დღერემა, და პოეტები შეცქეროდნენ კუმბოს, კუმბოს უკვე ათასი თეალებით დატირებულს. ეს იყო სასახლეში სადაღ მწუხარე გედებებით სტიროდენ სარაგები.

სადაღ ყველა ოთახები: სარკმელებს, კარებებს, და იატაკებს და ოთახს, რომელიც სასვე იყო სურათებით, ანაღვლებდა:

სამგლოვიარო მარში.
საკრავებს გადაჰქონდათ თვისი ხმა ყველგან და ზოგი მითვანი იქ დაკიდულ პარტრეტებსაც უფლიდა. თითქოს სტიროდენ სურათებით.

თითქოს მათაც სდიოდათ ცრემლი, ისეთივე: რომ გორიც იყო თვით შებრძოლება სიკვდილის.

ყველანი იდგნენ, და ყველანი იესებოდნენ სიმწუხარით, თითველ შეხედვაზე.

არ იყვნენ ადამიანები და იდგებოდა ცრემლი. სედა კი კუბოში ცვიოდა მთვარის ნატეხებით.

კუბო ზიდავდა სხეულს და სულები უფლიდენ გარ შემო პატარა მანქანებით.

მოკვდა სხეული და წინანდელი გუფუნი სიმღერის მოდიოდა მოგონების რკალებიდან.

აქ იყო უკანასკნელი მღერა და კუბოდან მოდიოდა თითქოს მვაცრ და დაჯერებულ სკაბადო:

— არავინ...
— მე განუმორებელი ვარ.

ჩვენ კი ვტიროვით და შეცქეროდით დაღლილ სახეს.

ვინ გახდება კიდევ საბაბი ჩვენის სამოთვრალის?

ვინ ატირებს კიდევ მალხაზს, ვინ ააცირებლებს ასე უიმედოს და ასე დანაღვლებულს?

ვინ დაგვეწავს კიდევ ასე გრძობის ნატეხებით? ვინ შეაბრებს კიდევ ჰაერს გაუგონარ ხმებით, სკკვირველებით?

არავინ.
არავინ.

ეს მოდის ისრებით და ედება გულს, გულს ატირებულს.

ნუთუ უკანასკნელად დავეტირით ამ კუმბოს, რომელიც სამუდამო ბინაა ასეთ სიმღერის.

ნუთუ „თავო ჩემო“-ს სიმწვავე და ცეცხლი აღარ შეარჩევს თეატრის სარკმელებს, უკანასკნელ ტრილოათ?

მაგრამ ცრემლები რომლებიც ედებოან ჩვენს სხეულს, სხეულს დაბანჯულს ამდენის ტროანტელით, გვაგონებს სიტყვად:

— სედაა ნამდვილი და დაჯერებული. ო სასაფლაო, ო ჩონჩხებო, რატომ არ გვემის ჩვენ მანდღდან სიხარული?

ხომ ემატება თქვენ სამეფოს, შავ სამეფოს საშვიშარს და ცივს, გვაში ასეთის დაუფიწყარის?

ხომ სხვანაირი იყო მისი სიკვდილი? ხომ სხვანაირად აკანკალდენ ჩვენი ქუთუთოები და სხვანაირი სედაა აქ.

მაგრამ ისევე: მწუხარე საკრავები, პოცესია შავი, ნაღვლიანი, სიმღერა კუბოში და:

— კუმბო სასაფლაოსაკენ...
სასაფლაოსაკენ...

კაიუს პელი.

ანატოლ ფრანსი



გარდაიცვალა ანატოლ ფრანსი. ის დიდი პატივით დამარხეს. ცხედარს აკილებდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მრაველი ჩასუქებულ დემოკრატ, პარლამენტის თავმჯდომარე პროფესორი პენლევე, მდიდარი და მოსუქენარი ლიონის თეატრის თავმჯდომარე, მისი მინისტრ-პრეზიდენტი კრიო, საწვინი კი დაყოველთვის თავზიანი მარქსის ჩამომავალი ჯან

მთავარი თავისი კათოლიკური მრევლით. არ ყოფილა შრიდერ-კრეზოს ჯალაბობა და არც ლიონის კრედიტის ცნობილი მუშტრები. დაკრძალვის დღეს პარიზის არქივსკოპოსი უსათუოდ იგონებდა ანატოლ ფრანსის ნაწერებთან: „არის ოცდა ათი საბუთი სულს უყვავების წინააღმდეგ, ხოლო ოცდა თექვსმეტი ამ უყვავების სასარგებლოდ. ამ ნაირად ექვსი საბუთით მეტი ლაპარაკობს დადებითად“. თუ ამ ირონიასთან ერთად ის გაიხსენებდა ანატოლ ფრანსის საჯარო გამოცვლებს ევლესის სახელმწიფოსგან გამოყოფის დროს (1903 — წლებში) და მის სიტყვებს, „ხომ არ შეუძლიათ დაამტეციონ, რომ მხოლოდ სამი სარწმუნოება (კათოლიკური, პროტესტანტული და ებრაელური, მ. თ.) შეიცავს კუშმაროტებს მხოლოდ იმისთვის, რომ თითოეული მათგანი მთელი სიმკაცრით უარყოფს დანარჩენ ორსა!“, მაშინ, ცხადია, ეპსკოპოსი თავს არ შეიწუხებდა მისი ცხედრის გასაცილებლად და არხენილად გადავიდოდა მორგულ საქმეებზე... პროტესტანტის, ან მართლმადიდებელ ეკლესიის წინააღმდეგ შეიდას ორმოც და მეცამეტე წერილის დამუშავებაზე. შენიღურ-კრეზო კი გერმანიის ახალი ცეცხლის ნიშნულს ანთავიერებდა, მაგრამ რაღაცნაირ ისინი ვალდებულნი არიან იკოდენ, თუ ვის მარხავდა პრეზიდენტი იმ

ლანგე, გატაცებული და მჭერმტყველი მარსელ ჯაშენი თავიანთი მიმდევრებით და თანამოაზრეებით. თითქმის მიუღი პარიზში! სრულებითაც არა. მის ცხედარს არ გაყოლია, მაგალითად, პარიზის მღვდელ-

თეატრული

დღეს, საღამოს რომელიმე ბუფეტაში ნანას მიერ „მატენიდან“ ამოღებული აღწერის გადმოცემით დაკმაყოფილებდით.

ანატოლ ფრანს მარხავდა პარიზის რადიკალური ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზიის ფენები და მუშები. ხოლო დუმერეი თავისი ამალით უფასო დამატება იყო. ინტელიგენცია ეთავყენებოდა ფრანსს, როგორც საერთო მზარხავდებელს და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებას და ამავე დროს, როგორც მთელი საუკუნის უდიდეს სკეპტიკოსს, რომლისთვის კემპარტიტება და შემცდარი აზრი თვალთა ხედვის ისრიდან არის დამოკიდებული, ცვალებადი და დაუდგომელია. საფრანგეთის ისტორია, თუნდაც დამახინჯებული, რომელსაც ფრანგი ბავშვობიდან სწავლობს, იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყოველი ფერის ადამიანი იქ იპოვებს თავისი ცვალებადი განწყობილების შესაფერებ სურათებს. თუ ის ფრინად აღტყინებული და გატაცებულია სოციალური ტილითი, თვალს გადააულებს კონვენტის გმირების აღმოფრენას და მათი ნებისყოფით დასტკება. თუ ოდნე ხანშესულია და მაინც ძალ-ღონით სავსე, კონსულობის და პირველი იმპერიის სურათებს გადახედავს, როდესაც ნაპოლეონი რევოლუციონური და განმათავისუფლებელ ომების ნიღაბ ქვეშ ძაძვი ახვევდა მთელს ევროპას. თუ ის სანტიმენტალურია, ორმოც და ერთი წლის ცნობილ პირის, ლამარტინის, წყლიანი მენტი დაკმაყოფილებდა; ხოლო თუ ცოტას მოიპატრონოვებს და იმავე დროს მოისოციალისტურს, იაკობინე კომუნარის დელაკალოზის სიტყვებს და მოქმედებას გაიხსენებს. საფრანგეთის ისტორიის აუარგულ თვალ წარმატცი სურათები სახანვე ერის კოლექტიურ და მისი შემადგენელთა ინდივიდუალურ განცდას. ყოველივე ეს მრავალ ფეროვანია და ცვალებადი, როგორც ფრანგი ინტელიგენტის შეხედულება. სურათი თვალთახედვის ისრიდან არის დამოკიდებული, ის სკეპტიკურია, ხოლო ამ სკეპტიციზმის საუკეთესო გამოხატვეული მწერლობაში ანატოლ ფრანსია. ფრანგი ინტელიგენტი, საერთოდ, დადევნებია. ხშირად დასკინის ისტორიულ გმირებს, ნანკოლ-უტნობებს და თავის თავსაც. მისი დაცინვა ირონია არ არის მწარე, არამედ მოაღერსე, მსუბუქე შესახებად, ხოლო ღრმა შინაარსით. ასეთია ანატოლ ფრანსიც. რას დასკინის იქ? უმარტესი შემთხვევაში სურათების და შედეგის წინააღმდეგობას. როდესაც გინდა ერთ ოთახში შეხვიდე და თავს მეორეში ამოყოფ. მოვიყვანოთ მრავალთავან ორი მაგალითი: „ტრინის“ ერთი გმირთავანი, პამფუსი, შორდება ადამიანთა კრებულს, მის ვნებათა ღელვას და ცდუნებას. მივარდნილ მთის კიდის გამოქვაბულს თავს აფარებს და ლოცვას შეუდგება. მედომარეობა ისეთია, რომ შემინდანათ უნდა ვადაიქმეს. მიზანი თითქმის მიღწეულია, შორეული კუთხის მცხოვრებნი შეიტკობენ, რომ ახალი წმინდანი, პამფუსი გაჩნდილა. მთის ძირისკენ მიეშურებიან დაჯირომილები. თან მოყვებიან ახალ ახალი ჯგუფები. ახლავთ ოჯახობა და ნათესავეები. ჯერ ასობით, შემდეგ ათასობით. წმიდანს შუამდგომლობას თხოვერ უმადლეს არსების წინაშე. პამფუსი მათ, რასაკვირველია, ვერ ხედავს. მთის ძირში მათთვის იხსენება სასტუმროები, სასაღლოლები, ვასართაბები. ჩნდება მავარი სასმელებიც. ხალხი თვრება, რასაც აყალ-მაყალი მოყვება. წეს-რიგის

დასაცავად ვაჩნდება საერო მილიცია თავისი მწერლობით. ჩნდებიან მძვავი ქალები, იწყება ჭურბობა, აწესებენ საიდუმლო პოლიციას. ამ ნიარად შენდება ცდუნების ახალი საშუალო და ეველაფერი ეს ხდება ჩვენი საცოდავი პამფუსის ვარგუმო, მის უშუმხვევლად, მაგრამ მისი საიდუმლოება და მიხეზით. ეს უდიდესი ირონია არა მარტო სასულიერო, არამედ საერო, ვერად წოდებულ: „წმინდანებზე“.

აი მეორე მაგალითი „აბატ კონუარის“ აღსაჩვენებლად. ქალაქ დამასკმა შვიდი მმართველი გამოიკვლია, ერთი მეორეზედ უსასტიკესი. როდესაც ახალი მმართველი მოვიდოდა, ხალხი ევერდობდა ზეციურს, რომ მას ჩქარა სული განწორობოდა. მმართველი ვეღებოდა, მაგრამ ქალაქს უფრო სასტიკი ეველინებოდა, რომელსაც ხალხი ჩემად წვევა-კრულვით იხსენებდა. მეშვიდე სასტიკი მმართველს მისმა ჯამუშებმა მოახსენეს, რომ ერთი ქალი, მის მიერ განაწარები, ყოველ დღეს ლოკულობს ტაძარში მმართველის დღევრბელობისთვის. ქალი მოიხმო დესპოტმა და კითხა ამ არაჩვეულებრივი ამბავის მიზეზი. მან უპასუხა: „აჰ, მართალია, რომ მერვე თქვენზე უარესი დესპოტი იქნება და პარემ თქვენს იცოცხლები და ხანსო“. ცხოვრების ასეთი ირონია ბუნებრივად მოსწონს სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს და ის აღტაცებით კითხულობს ანატოლ ფრანსს...

ცხელის აცოცხლებ ფრანსი, მესაკუთრე, ბურჟუაზია, რომელიც იკლავება ვინანსიურ ოლიგარხიის უღელ ქვეშ და რომელსაც ის ებრძვის თავისეზურად. ამ ბრძოლის ის ხატავს, სხვათა შორის, სოციალისტურ შეგანულ ფრანგელობაში. არც ერთ თქვენს (გარდა, შეიძლება, საქარბველოში) არ არსებობენ იმდენი სოციალისტური სახლის მატარებელი პარტიები, რამდენიც საფრანგეთშია. რადიკალ-სოციალისტები, საერთოდ დეპორტ ბურჟუაზიული (დღეს მმართველი) პარტია; დამოუკიდებელი სოციალისტები, პენლვეს ვეთაურობით— ინტელიგენტურ-ხელოსნურ შემადგენლობის, ეროვნულ სოციალისტური პარტია დემოკრა ქორესის (დიდი ქორესის ბიძის) მეთაურობით. ვაერთიანებული სოციალისტები (მეორე ინტერნაციონალიდან), კომუნისტური პარტია (მესამე ინტერნაციონალიდან), კომუნისტურ-სოციალისტური ქორესის მეთაურობით, რომელსაც პრეც არ ყავს თავისი ინტერნაციონალი და ამ ვამად პრეცუნად ცხოვრობს, სინდიკალისტები, ანარქო-სინდიკალისტები და სხ. დიდი ნაწილი ამ პარტიების წვრილ-ბურჟუაზია თავისი შემადგენლობით და პროგრამითაც, მაგრამ სწორედ მათ რიგებში მებრძოლად ხშირად გამოიღოდა ანატოლ ფრანსი. ასე იყო კომბის საბინისტროს დროს, როდესაც ეკლესია სამუდამოდ გამოეყო სახელმწიფოს. ასე მოხდა დრეიფუსის საქმის დროს, როდესაც ის ემეღ ზოლას და ეროფს უღდა ვეერდში და მონარქისტ-კლერიკალებს ებრძოდა. წვრილ ბურჟუაზიულ წრეებს ახსოვთ ეს ბრძოლა და პარტიები ებურობდა ერთ მის მედროშეშვანს. არც ერთს ქვეყანაში არა აქვს ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის ისეთი ისტორიული წაასული, როგორც პარიზისას. დაწყებული დიდი რევოლუციით, მიყოლებული ოთხმოც და მერვე წლის პირველი ეტაპით და ნაწილობრივ კომუნის დროს, წვრილ ბურჟუაზიის უნახავს გამარჯვება და ვანუდია ის



აღტაცება, რომელიც მოთხადა კი გადაჯგუფებდა. ისიც სკამაოდ სკეპტიკოსია, რომ იგრძნოს ანატოლ ფრანსის შემოქმედების ლიტ-მოტივი.

მაგრამ რატომ უყვარდათ ფრანსი საფრანგეთის და კერძოდ პარიზის მუშებს? ის ხომ არ იყო პროლეტარული მწერალი, არც ალზრდით და არც შემოქმედებით მას პროლეტარიატის სულიერი განცდა და მისწრაფება არასად არ დაუსურათებია. შეგნებული მუშა კრიტიკულად მიაზროვნე უნდა იყოს და არა სკეპტიკოსი. გ. ბრანდენის სიტყვით, ან. ფრანსი ყველა მოვლენას ექვის თვალთ უცქეროდა. „ხოლო ვინც ხედავს საფრანგის მრავალმხრივობას, ადამიანებისადმი ინტერესს მათადმი სიძულვილში დამარხავს ამ შემთხვევაში ადგილი შესაძლებელია ბრძენ-პესიმისტიკიდან უხეში ძალ-მომხრობის მომხრედ გადაქცევა“ ანატოლ ფრანსის ემუქრებოდა ეს შესაძლებლობა“. შეიძლება საერთოდ ეს მართალი იყოს. მეტსაც ვიტყვით, ყველა ადამიანს ემუქრება ავ და კარგ სულად გადაქცევა, რადგანაც მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას. მართალია, ანატოლ ფრანსი სკეპტიკოსი იყო აზროვნებით, მაგრამ თავისი განცდით და უკანასკნელი თვისებით ის ძლიერ წაავადდა მის მეგობარს ვან კოკრესს. რაც უნდა წაიბოძკოს ჰუმანისტმა, მეტ ნაწილად ის დარჩება ადამიანთა მიმართ სიმპატიით გამსჭვალული. სოციალურ

კილილში ფრანსი მუშების მხარეზედ იყო. ეს უფრო აზროვნებით გრძნობების შედეგია, ვიდრე აზროვნებით. ფრანსი სოციალისტი, თუ გნებავთ კომუნისტიც, იყო და არც იყო. რამდენადაც კოლექტივიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განსაზღვრული შეხედულებაა, ის ანატოლ ფრანსის ბუნდოვანად ესახებოდა, ხოლო რამდენადაც კოლექტივიზმი გარკვეული მსოფლ მხედველობაა, ანატოლ ფრანსი მას მოკლებული იყო. რაც შეეხება მის სულიერ განცდას, ისტორიული პროცესში მხირად ვაება გადატანილ ადამიანთა კრებულს ის უაღრესად თანაუგრძობუნდა, ხოლო მუშათა კლასს, როგორც ყველაზედ მეტად დაჩაგრულს, ის აშკარად ემხრობოდა და ესარწმუნებოდა. ეს გამოსარწმუნება ყოველთვის იყო გულადი და მოუხრდებელი. ამას აფასებდნენ მუშები და ათი ათასობით შეუკობუნდნ მის საფლავის გარშემო.

ყველა კი ერთად, რომელიც თანაგრძნობით აცლებდნ უდიდეს სკეპტიკოსის ცხედარს, უსათუოდ სტრილობდნ, რომ მათ დაეკარგეს ლამაზი და დახვეწილი გარდის მწერალი, რომლის ენა ერთ და იმავე დროს ისეთივე მსუბუქი იყო, როგორც ჩვენი აკაკი და დინჯი, როგორც ი. ჭეჭვაძასი. აკადემიკოსი ანატოლ ფრანსი თვითონ ასახიერებდა ფრანგული ენის აკადემიას.

ბიქტარ თევზაია.

გაიეროიტის თეთრი ღედოფალი

(წერილი გერმანიიდან, საკუთარი კორესპონდენტისაგან)



ვაგნერი, მეუღლე მისი—კოზიმა და შვილი ზიგფრიდი.

საზარელი ომის დასაწყისის ათის წლის თავს მთელი გერმანია უდიდესი მწუხარებით შეხვდა. ვეიხის, შავიგისტოს, გაერთიანდა მთელი ერი მიძიე სედიტ. სრულ 12 ს. ყველგან დაბლა დახარეს დროშები და 2 წლით შესწყდა მთელ გერმანიაში ყოველგვარი მოძრაობა: ლოკომოტივები, ავტობუსები, ტრამვაი, ადამიანები თითქმის გაიყინენ ერთ წერტილზე და ჩუმი ლოდით მდუმარე მწუხარებით, რაც მართო გერმანელთ სჩევიით, გადაი-

ჯაჭვა ყოველივე. ვინ იცის—ვინ რას ფიქრობდა ამ მდუმარებისა; და ვანა ცოტა მსხვერპლი მიუტანია თვითი ულს ამ უაზრო ომში?.. ვანა ცოტა მოსაგონარი დამარცხებულისათვის, ვინც გამარჯვებისთან ასე ახლოს იყო?.. მაგრამ ერთ ხაზს ყველგან და ყველაფერში შეამჩნევდით: სიმტკიცე, ძლიერი ნება და იმედო აღდგომისა,—დანაკონის ანაზღაურებისა..

და მათ ჰქონდათ ამის უფლება; მიუხედავით ვერსალის მიძიე ბორკილებისა, გერმანია მაინც გასწორდა, გაიმართა და აღმშენებლობის და თავისუფალ შემოქმედების გზით გასწია. ვერავითარი კონფერენციები და ოკუპაციები ვეღარ შეზოჭუნდნ მის შემოქმედებით ძალას.. იმამში დღეს მისი მტრებიც კი დარწმუნდნენ.. მაგრამ არა მართო ნივთიერი კულტურა იქნება და გროვდება ხელახლა აქ, არამედ სულიერიც, რომელიც ომმა გააპარტახა.. გერმანიის მეცნიერებას პირველობის დროსა ტყვილა ეცილებიან და მისი ხელოვნებაც უკვე ძველ სიმოლწეზე აღის. ამის ნიშნები ბევრია—მე მართო ერთზე შეფერებები, რომელიც ასევე ომის გამოცხადებიდან 10 წლის მდუმარების შემდეგ, ერთბაშად და ძლიერად ამეცხველდა.

ეს არის გერმანიის ელლადა, მისი პატარა ბაიერიოტიკი. თუ მაჰადაიანი მექაში და ებრაელი იერუსალიმს მიილტვის ვით მათთვის უწმინდეს ადგილს, მიელი ქვეყნის დიდი მუსიკოსნი და ხელოვანი წილოწადში ერთხელ პატარა ბაიერიოტიკში ძველ ნურენბერგის ახლის იკრიბებთან, რომ ხელოვნების დიდ ტაძარს, რიხარდ ვაგნერის თეატრს თავყინის სცენ, ვაგნერის უკვედავი ოპერებით დასტკენ.

საინტერესოა ისტორია ვერბოის ხელოვნების ამ ცენტრისა: ვაგნერის ლალი ბუჟადა ვერ ხელოვნებოდა არსებულ თეატრებს, მას არ უნდოდა თვისი შემოქმედება

თეატრებისათვის შეგუებინა; მის ორიგინალურ და გენიალურ შემოქმედებას, როლის უძლიერესი არტისტი, რეჟისორი, კონპანისტი და პოეტა თვითონვე იყო, ესაქიროებოდა აგრძელებ თვისი საკუთარი თეატრი. მისი დიდი ბუნება არავის ემორჩილებოდა.—ის თითონ იმპროვიზებდა სცენას. და როდესაც მას მოგონა დიდი წყურვილი—ხელოვნებიდან—მუსიკად ახალი სახალხო რელიგია შექმნა, მან გადასწყვიტა სადმე, მითიურ ადგილას საკუთარი თეატრი აეგო, რომელიც მართლა შეფერვებოდა მის ზღაპრულ გმირებს... ჯერ განზრახული იყო ძველი ისტორიული ქალაქი ნიურნბერგი, მაგრამ ბოლოს მასზე მანც პაწია ქალაქმა ბაიეროიტა გაიმარჯვა, რომელიც, სრულიად მიკარგულია, ფიხტუნგებრგას ძირას იზღვება. ბაიერის მეფემ ლუდვიგემ აუგო აქ ვაგნერის საზღაპრო ტაძარი ხელოვნებისა და დღესაც ის ხელოვნების მქე-იერუსალიმად ითვლება. აქ გაატარა თავისი აჯანყებული ცხოვრება დიდმა მუსიკოსმა და თვითფული ქება მის მიერაა ჩადგმული. აქ დღია დიდმა მუსიკოსმა ლისტმა თვისი უკანასკნელი წლები და აქვე სამუდამოთ წაყვარა მის ხელებს მიწა, აქ სკოცლობდა, პოეტობდა და განისვენა იოჰან პაულმა; აქვე ლისტის ქალიშვილი კოზიმა, ცოლი ვაგნერისა, მისი სულიერი მემკვიდრე.

და აი სწორედ 10 წლის წინდა შესწყდა აქ მაგის ცემა... ომის ჯაგშინანი ფრთები დააწყა ამ ნახ არქიტექტურას და მისი მუსიკა დიდის ხნით ჩაჰკლეს... და-კარგა ცენტრი, სული ვერაოს ხელოვნებამ—ისიც სხებით დამთვრალმა მარსმა უფულოდ დააკლა თვით სამსხვერპლოს. თითქმის აღარავის სწამდა მისი აღდგომა—და ან კი ვის ეცალა მისთვის, როცა ცეცხლის ყიფინა ჯერაც არ მინდებულა?!. გარდა იყო არსება, რომელიც ამ ჯაგშინან ფრთების ქვეშ მოჰყვა, მაგრამ გაძაბულ ტაძარს მარც არ განშორდა. მას სწამდა ამ ტაძრის აღდგომა.

ეს იყო ფრაუ კოზიმა...

1883 წლიდან, თვისი ქმრის სიკვდილის დღიდან ის შექმნა პირველი ქორუმი ამ საიდუმლო ტაძრისა. ის დაბადებით მუიკალურ წრეს ეფუთვნოდა და ვაგნერმა უფრო გააღრმავა მასში ლისტის მემკვიდრეობა. ეს ქალი იყო მთავარი რეჟისორი, დირიჟორი, კომენტატორი ვაგნერის შემოქმედებისა. მან იცოდა ზედმიწევნით სწორად ყველა როლები ქალებს და კაცებს; რეპერტორებზე ის ყველა ამას თამაშობდა შესაფერის ტონით, მიმიკით და ცეკვით... თითქმის ბაიეროიტში 1883 წლიდან არაფერი არ შეცვლილყო. ყოველმა დამკვრელმა იცოდა, რომ ვაგნერის მახვილი სმენა ამ ქალში იყო და ის ოდნე სიყალბეს იყვრდა.. ყველა მიყვებოდა მის მომზადლავ ხელმძღვანელობას და ბაიერიოიტს, მეფის სიკვდილის შემდეგ, ქემპარიტი დედოფალი მოეფინა. მან იცოდა დედოფლობაც... ის ნამწვლილი მუსიკა დედოფალი იყო და „მისეტეტეს“ და მომკვადავებს ერთხანის ღირსებით და დარბაზისღმობით იღებდა თავის სამეფოში. და როცა 78 წლის მოხუცს ამ სამეფოს კარები მაგრა ჩაუკეტეს, ის მიანც ვკლს არ იტებდა; დიდებულ ქორუმის ანდრეს გულში იხვედა და უყდილა მოთმინებით ბაიერიოიტის აღორძინებას. რა ვერმანული სიმტკიცეა!.. ჩვენ ხომ უკვე 30 წლისანა ყველა იმედს ვკარგავთ... და სწორედ 10 წლის თავზე თითქმის ჯადოსნურის ძალით

ვაილი ეს კარები და 88 წლის გათეთრებული ფრაუ კოზიმა ზიმა ისევ დღესასწაულობს პატარა ბაიერიოიტში, და მისთან ერთად—მთელი ქვეყნის ხელოვნება.

დაუჯერებელი ამბავია!.. ჯერ კიდევ ამ ნახევარი წლის წინ არავის სწამდა ეს. განიავებული თეატრის აღდგენა სრულიად შეუძლებელი იყო, მის აფურებელი თანესკირობდა, რის შოვნის იმედს ვაგნერის ვაჟმა ზიფერდმა თითქმის დაჰკარგა. მაგრამ ხელოვნების ძალამ ბოლოს მიანიც სძლია ამერიკელ დოლარებს—ზიფერდის ქაიურ ცერტო ტურნე ნივთიერად ჩინებულად დამთავრდა.

ათის წლის წინათ, ომის გამოსცადების დროს 1914 წ. 1 აგვისტოს „პარსივლი“ თ შეწყდა ვაგნერის ოპერათა ციკლი ბაიერიოიტში და 1924 წ.—ათის წლის პაულის შემდეგ—პარსივლი—თვე დაიწყო ახალი ციკლი... და როგორ შეძლო ფრაუ კოზიმას, ვინც ამ დღით სკოცლობდა, ამას ელოდ—ერთხელ კიდევ არ ენახა თვისი ქმარის გენილობა, არ მოესმინა მისი წარმატცი—სიკოცლის ენერჯის ამომკვრელი ჰანგები. დღეს ორმა მიხუცი დღეა, მისმა აზმაგაზრდა ვაჟმა ზიფერდმა შესცვლა ხელმძღვანელობის როლში—მაგრა ამ ძველ დედოფალს ხიმა უნდა ენახა მკვდრეთით აღმდგარი თვისი სამფლობელი და თვითი მიხუცი გამორჩა აქტოთა...

მთელი ზევა ხლბი და 500 მონაწილე მხურავალედ ესაღმებინა მის. და ისიც საღამის ნიშნად დამქვიარა ხელს უზზეეს მაყურებელებს.

დღეს ერთხელ კიდევ ზეიმობს დედოფალი ბაიერიოიტისა და მის ჩაღრმავებულ თვალებს სიხარულის ცრემლები ჩრწყვლიან...

ასე ოღდგა ბაიერიოიტი, რომელიც ომმა ჩაკეტა, მაგრამ ვერ ჩაჰკლა. საღამი მის თვით დედოფალს!...

თამარ გოლომშვილი.

ქ. ნიურენბერგი (გერმანეთი)
1924 წ. აგვისტოს 14



ბავშვების დრამატული დასი

მასწავლებელ ქალის ქეთო ტატიშვილის (*) ხელმძღვანელობით, რომელმაც გასულ ზაფხულს 5-6 წარმოდგენა გამართა წალეგრა და ბაიერიანში. დასში არიან მოცეკვანენც (ბალერინები). ქეთო ტატიშვილს განუზრახავს საბავშვო თეატრის საქმე სავანებოდა შესწავლის, რისთვისაც მოსკოვს აპირებს წასვლას. საბავშვო დასში ირიცხებოდნენ: დოდო ო. ოლექსიძე (მარიჯანისშვილი), ტანია (გვარი ვერ გავიგეთ), ქენია და ლუბა გიგოლოყები, თამარ და ანეტა ფარსადანიშვილები, არჩილ და მერო-ბულუქ შიფინის შვილები, ქალარა—რაჭ. კალაძე, ქეთო ანანია, გელა ივ. ბოლქვაძე, ქეთო იოს. იმედაშვილი, თამარ გ. გორდენიანი, ნუკრი ტატიშვილი.



ქანდაკება

(დასასრული. იხ. ათ. და ე. № 15—18)

ღვ. ჩემო კარგო! ნაკვერჩხალი დასდო. როგორ ერთბაშთ აცივდა? წრეულს ადრე დაგვარამორღება.

ქუ. (მამას მუხლზე თავს დასდებს და ბუხრის თავზე საათს უტყუროს). ტიკ ტაკ, ტიკ-ტიკ, ტიკ ტაკ!

ღვ. რა პატარა კოლოფშია მოქცეული დაუსრულებელი დრო!

ქუ. ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ, ტიკ ტაკ! (პაუზა).

ნინო. (შემოდის). ბუხრისკენ ვაიხედავს და ხმა ამოუღებლევ ტუალეტში დადგება. შლიაპას მოიხდის და თმას გაისწორებს. სარკეში იტყირება და ისე ლაპარაკობს). ლამეა ანთეთ!

თაშ. სამოვარი დაედა?

ნინო. აქ. შლის რას ავითებდით?

თაშ. რა ვიცი, იქნება დაივიანით მეთქი! ლევანიც ეს არის ეს ლა მოვიდა.

ნინო. რამდენჯერ მითქვამს, ნურავის უყვით მეთქი!

თაშ. რა ვიცი, შვილო, რა ვიცი.

ნინო. არ ვიცი, რა ვიცი, მაშ, რაღა იცი? (თამარი ჩუმათ გადის. პაუზა).

ქუ. (საათს უტყუროს). ტიკ-ტიკ ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ.

ღვ. დრო მაინც თავისას არ იშლის. მიჰქრის და თან ჩვენი სიცოცხლეც მიაქვს.

ქუ. ხვალინდელ დღეს კი მაინც მოუთმენლად ველოთ.

ღვ. იმიტომ, რომ ადამიანი იმედითა სცოცხლობს მომავალი უკეთესად ესახება. თავისი საცოდავი ხელები, სევდიანი თვალები ხვალინდელ დღისკენ მიუპყრია იმ იმედით, რომ ხვალინდელი დღე დღევიანდელზე უკეთესი იქნება.

ნინო. (ლევანის კაბინეტის კარებს გამოადებს) აქ მობობანდით, არჩილ, არა უშვავ რა. აქ უფრო თბილა, ბუხარი ანთია.

არჩ. (შემოდის) თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ და კანდიერებათ არ ჩამოშრებთმევა, ბუხართან გათბობა ურიგო საქმე არ არის

ნინო. ბუხართან დაბრძანდით. (ლევანი წამოდგება და უსიტყვოდ მეორე მხარეს სკამზე გადაჯდება).

არჩ. ბრძანდებოდეთ, ნუ სწუხებდით.

ნინო. (სავარძელზე მიუთითებს). დაბრძანდით.

არჩ. უნდა მოვახსენოთ, ძალიან აცივდა, დიახ, ძალიან აცივდა! უტყობოში ბევრს ადვილას ვყოფილვარ და ასეთი სიცივე ამ დროს არ მინახავს.

ნინო. ვინც სახამაიროდ კარგათ არის მოწყობილი, იმს რა უჭირს! ჩვენ ჯერ შევიც არ გავიციოდა. არც არაფერია ფიქრობს ამაზე. დღესაც შევა მეუბოლისაგან ვისესხე. როდემდის გაგრძელდება ასე, არ ვიცი. (ლევანი ოთახში გაივლ-გამოვიდეს და კაბინეტში გადის. ნინო თვალს გააყოლებს). აი სულ ესე გაჩუმებულად დიდის, თითქოს სრულიად უტყობი კაცი იყოს და ოჯახის გაპირებება მას არ შეეხებოდეს. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ყოველდღე ჩემი ცდა უნაყოფოდ იქარგება. ყოველ დღე უფსრულოდ მოქნება და ჩვენი მიგაქანებს.

არჩ. საშინლად გამხდარა, ავად ხომ არ არის?

ნინო. მთელი მისი სიცოცხლე განა დაუსრულებე-

ლი ავადმყოფობა არ არის? თითონაც ავადმყოფობს მეგობრებზე ავადმყოფი ხალხი ჰკავს.

არჩ. როგორმე უნდა ჩამოვშროთ, დიახ, უნდა ჩამოვაშროთ, საშინლად გამოცეულია გავითლებულა, თვალზე როგორღაც ჩასცივინა. უტყობოში მაგას აუკი-ლებლად საავადმყოფოში დააწვინა. ჩვენში კი, როგორც მოგვხსენებთ, საშინლად დაუდევარი ხალხია, დიახ. დაუდევარი ხალხია. ლევანი კი ძალიან გამხდარა.

ნინო. უდიდესი განსაცდელის წინაშე ვდგევარ ერთ რამ ნამდვილათ ვიცი: ასე ცხოვრება აღარ შეძლება. დაიღუპა აუცილებელია. დაე საშინელმა ამბავმა მთელი ჩვენი არსება შეარყიოს! დაე მოხდეს თუნდაც უხედურება, ოღონდ კი ეს საშინელი ბურუსი განიფანტოს და კვლავ ძველებური ცხოვრება დაგვიბრუნდეს.

არჩ. უხედურება ღმერთმა გავშროთ.

ნინო. (მცირე პაუზის შემდეგ). იცი თუ არა, რომ ქანდაკება იმ ქალის გამოხატულებაა?

არჩ. რა ვქნა! მხატვრის წესი ეგეთია. უნდა მოგახსნოთ, რომ უტყობოში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ეჭვბოლს ამ შემთხვევაში, გარწმუნებთ, უადგილო იქნება, ენდეთ ჩემს გამოცდილებას.

ნინო. ქანდაკებას იმ ქალის მკლავები აქვს, იმ ქალის ქალწული გულ-მკერდი. ეს იმ ქალის მუხლებია! ტიტულა მუხლები. ამ მუხლებს ყოველ დღე ჰკოცნის და ეალერსება.

არჩ. ქალბატონო ნინო!

ნინო. ვიცი, ვიცი! ტყუილად ნუ შეეცდებით გადაჯერებას. ვიცი, ვიცი! ქალი კი ამაყადა სდგას, მდიდურად ენებით აღფრთოვანებულ ვაჟს დასცქერის და მის დიდს თვალებში თითქოს დაკინევა იხატება. დასკინის, დასკინის იმას, ვინც ქურდულთა კონცანს ჰპარავს...

ღვ. (ქარდულთა კონცანს) ალექსეეულია. თვალე-ბი გაპანეირებია. (კახკახებს). რა სთქვი? რა სთქვი?

ნინო. (მტკიცედ გაიმეორებს). ქანდაკება დასკინის იმას, ვინც ქურდულად კონცანს ჰპარავს.

ღვ. შენ, ნახე ქანდაკება!

ნინო. ამაყად მდგარი ქალი, რომელიც...

ღვ. ჩემად.

ნინო. ხომ არ გეწინიან...

ღვ. მეშინიან! მეშინიან ხლიკად არ გადაიქცე და ღობის ძირში ვინმემ თავი არ გაგიტყუოს. შენ ხელი-კი ხარ.

ნინო. ლევან!

ღვ. ეგრე ჩემად მარტო ხელიკები დაძებრებინა. შენ თვალწინ გასრალდება და სადღაც სხვაგან ამოჰყოფს თავსა. შენც ხელიკებით დაძებრები. გაფრთხილი კი კვით თავი არ გაგიტყუო.

ნინო. თუ შენს დასახსნელად ეს საჭიროა, დაე ეგრე იყოს. სიკვდილის არ მეშინიან.

ღვ. მაშ სანამ მოკვდებოდე, ეცადე ხელიკად გადაიქცე.

ნინო. სანამ მოკვდებოდე, ვეცდები განსაცდელი-საგან დაგინსა. (ცრემლ-მორთული) სიცოცხლის უქანას-ქნელ წუთებში ვეცდები შენი გაბოროტებული გული მზურვალე კრემლებით გაგათბო. ეს იქნება ჩემა უქანას-ქნელი პასუხი შეურაცხყოფისა და დამცირებისა.

ღვ. (იკინის) მომავალი სულგრძელობით ესლავე

სტკბები და გასამჯელოსა თხოვლობ თვალთმაქცური გარნობისთვის, რომლითაც ყოველად უპატიოსნო ქურდობა გინდა დაზარაო.

ნიწო. როგორც შენ მალაე მოპარულ კონცას, ამაყად მკვდარი ქანდაკება ელენეა, ელენე, რომელიც შენს ავადმყოფ სიყვარულს დასციენს... ქალწულის ფეხი იმით გავიწივლებია, რომ ზედ შეგდგეს და გაგარსოს როგორც...

ლევ. როგორც ხვლიკი! (იციენს) როგორც ხვლიკი!
ნიწო. ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა!
ლევ. როგორც ხვლიკი? (იციენს) როგორც ხვლიკი!
ნიწო. ვერე ნუ მიცქერი, ლევან! ღვთის გულისთვის იგვე ნუ მიცქერი! ნუ მიცქერი, თორემ სასოწარკვეთილება სახეივანო ნაბიჯს გადამადგმევენებს და ვინანებთ. ორიენი ვინანებთ.

ლევ. რა უნდა ჰქნა, ბოლო მინც ერთნაირია. ქურდს ციხეში ამწყვედვენ; ბორკილს ადებენ და ციხეში ამწყვედვენ. შენც ქურდი ხარ. ჩემად მოიპარე სახელოსნოში, შენი მწვანე, ბორკოტი, გესლიანი თვალეები მიპაყარი იმას, რასაც დღემდის ყველასათვის საიდუმლოდ ვინახავდი. მაგვარე ქანდაკება მინც ცოცხალია. შენ კი, შენ ხვლიკი ხარ! (იციენს) ხვლიკი ხარ!

ნიწო. კმარა, ლევან! (გადაფთობებული) შენმა სინდისმა ზღოს უბედურება, რომელიც ჩვენს ოჯახში დატრიალდება!

არჩ. ლევან არ გაუშვათ! ღვთის გულისთვის არსად გაუშვათ!

ნიწო. შენმა სინდისმა ზიდის ეს ცოდა, ლევან! (გადის).

არჩ. ლევან! დაბარუნეთ, ეხლავე დაბარუნეთ, თორემ მერე გვიან იქნება!

ლევ. (ხელს დაუტერს არჩილს და ბუხრისკენ წაიყვანს) დაბრძანდით!

არჩ. ვიღარ მოვიციდი! ეხლავე უნდა წავიდე.

ლევ. რათა ჩქარობთ? ნუ თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არის ათი-თხუთმეტო წუთი მინც ჩემთან სასარგებლო ბაასთი გაატაროთ. მართალია ქალი არა ვარ, მაგრამ დროთა სიკარიელეს ყოველთვის ხომ ქალი არ შეეგებს? მეტადრე ისეთი ქალი, რომელსაც აღშფოთებული ნერვების დასამშვიდებლად სიმარტოვე უჩრევნიან
არჩ. თქვენი მეუღლე ძალიან აღელვებული წავიდა, ბატონო ლევან! შენთან, რაიმე უბედურება არ მოხდეს.

ლევ. გეშინიანთ თავი არ მოიკლას? ტყუილად შიშობთ. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მეუღლე თქვენს სრულს განკარგულებაში იქნება.

არჩ. დრო და გარემოება ნების არ მაძლევს, ბატონო ლევან, სათანადო პასუხი გავცე თქვენს ორ აზროვან სიტყვეს. თუ თქვენ საჭიროდ არ მიგანიათ ეხლავე უკან დაედევნოთ თქვენს მეუღლეს და სახლში დაბარუნოთ, მაშინ მე ვიზამ ანას.

ლევ. თქვენი ყოჩად ხართ! დოდის ცენივით შემგძლიანთ ბარიერსაც კი უწინებლად გადახტეთ.

არჩ. მე მივდივარ! (გადის).

ქეთ. (შემოვარდება აღელვებული, გათაფთირებული) მამიკო! ქანდაკება უშველეთ, შენ ქანდაკებას უშველეთ!

ლევ. (საშინლად აღელვებული) რაო? რა სიტყვი? (კაბინეტში გავარდება. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტიდან

საშინელი ყვირილი მოიძის. შემოიღობით შემოვივარდება) გასაღები!.. სახელოსნოს გასაღები!.. (თმებში ხელებს წაიკლებს და გავარდება).

ქეთ. (ქეთინით კრაოტზე დაეცემა) ღმერთო, შენ უშველეთ! (პაუზა).

ზურ. (დინჯად შემოდის. კობხად შეკერილი მოსწავლის ტანისამოსი აცვია. ტუალეტთან მივა, სარკეში თმას გაისწორებს, ფრხილვებს იწმენდს და ქეთინოს ისივლაპარაკება) რა გატირებს?

ქეთ. უბედურებაა, უბედურება!

ზურ. პირველი ხომ არ არის, ვერ შეჩვიე?

ქეთ. გრცხვენოდეს, ზურაბ! სახელოსნოში ვინ იცის რა უბედურება დატრიალდა, შენ კი აქ ასე უღვირად იქცევი!

ზურ. კარგია, თუ ღმერთი გწამს! ყველგან უბედურება გელანდება. წაიჩხუბნენ—აივე შერიგდებიან.. (ტუალეტთან მივა) ო დე-კოლონი ჩად არის? არ განახავს?

ქეთ. არ ვიცი!

ზურ. მაშ, რაღა იცი? ტარილი იცი?

ქეთ. თავი დამანებე! შენ ბორკოტი ხარ!

ზურ. შენ კი განხორცილებული სინაზე და სათნობა!

ქეთ. თავი დამანებე!

ზურ. ნამდვილი საგოეთია!

ქეთ. გრცხვენოდეს! ეს საგოეთი შენი სახლია.

ზურ. მეც ეგ მარუხებს! (სარკეში იხედება და თმას ივარცხნის) რა საძაღვად გამკრიჭა პარიკმახრიმა. ხელო ჩვენს სასწავლებელში საცეკვაო საღამოა. არ წამოხვალ?

ქეთ. არა.

ზურ. რატომ? მზიარულად გავატარებთ დროსა. და პარტიკული სტუმრებიც ვეყოლებმა. შენი აწულედიც მოქნება! აი ის, გრძელცხვირა.

ქეთ. უპაცრავათ! გრძელცხვირა!

ზურ. ოჰო! გეწყინა?

ქეთ. გრძელი ცხვირი როდისა აქვს!

ზურ. გრძელი ყურები ხომ აქვს. ეგ უარესი. მაშ, წამოხვალ?

ქეთ. არა.

ზურ. დღეს სულ სამზადისში ვიყავით. დაბაზი მშვენიერად იქნება მოწყობილი. წამოდი, ნუ დაიზარებ.

ქეთ. (ჩაფიქრდება. ამოიხივრებს) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ზურ. რა დაგემართა?

ქეთ. ნეტავი მიუსწრო თუ არა?


ზურ. ვინ მიუსწრო? რას მიუსწრო? გამაგებინე, რას ამბობ! (ლევანის კაბინეტიდან ნინო გამოჩნდება, გადაფთირებული, აღელვებული. კეღეს მიეყვლება; მერე ნელა გამოივლის, ხმა ამოუღებლივ ტუალეტის წინ სკამზე დაჯდება და ჩაფიქრდება. ქეთინო თვალს არ აშორებს ზურაბს ბუხრისკენ გაემართება და სავარძელში ჩაჯდება).

ნიწო. ქეთინო!

ქეთ. (მოკრძალებით მიუახლოვდება) რა იყო დღეა?

ნიწო. ჩემთან მოდი! (წელზე ხელს მოხვევს) მიდი, გაიკოცო.

ქეთ. (დედის წინ დაიჩქივებს) ხომ არაფერი გინდა, დედიკო?



ნინო. (შუბლში აკოცებს) არაფერი შეილო! აბა, თვალბში შემომხედი! როგორ ჰგეხვარ მამასა, შეილო? (თვალბში აკოცებს).

ქეთ. (ქალთაში თავს ჩაუღდებს და ტირილს დაიწყებს) მამატიე, დედიკო!

ნინო. რა გაპატოო, შეილო?

ქეთ. მე კული ვარ! მამატიე დედიკო!

ნინო. (ცრემლებს მოიწმენდს) იქნება მე უფრო კული ვიყავი შეილო! კარგა, კმარა! ნუ სტირი! ეხლა შენს ოთახში წადი.

ქეთო. (მცირე პაუზის შემდეგ. გაუბედავით) მამა მალე მოვა?

ნინო. მალე მოვა, შეილო, წადი! (ქეთინო გადის) შენ რაღას აკეთებ? მოდი ჩემთან! (ზურაბი მიუხედავად) მოდი, შენც გაკოცო. (შუბლში აკოცებს) ეხლა წადი. წენც წადი. (ზურაბი გადის). (ნინო კარგა ხანს დაფიქრებული ზის. მერე ადგება და კრაოტთან მივა) მირჩა! ვათავი! (ქეთინით ბლიძზე დაეცემა. დიდი პაუზა).

ლევ. (შემოდის. საყელო აწეული აქვს. თანამოძრა ძეგული შეშლილით სივრცეს დასცქერის. ბარბაცი ბუხრისკენ წევა და საყარმელს დაფარინობს. უკბით მოტრიალდება და კრაოტზე მწოლარე ნინოს რომ დაინახავს, მრისხანე მოელვარე თვალბით მისკენ გაეჭანება) აჰ!

ნინო. (წამოიჭრება) ლევან!

ლევ. შენ ხელიკი ხარ, ხელიკი!

ნინო. (შეშინებული) ლევან, ლევან, ეგრე ნუ მი ცქერი!..

ლევ. (ყელში სწვდება) შენ ხელიკი ხარ, ხელიკი!

ნინო. ლევან, ჩემო ლევან! მიყვარს..

ლევ. (აბრაზს) შენ ხელიკი ხარ, ხელიკი! (ნინოს უსული გვაში მუთათაზე გადადგენება. ლევანი გაშტერებული უყურებს და ფეხაკრებით სცილდება).

ქეთ. (შემართალი შემოვარდება) მამიკო, მამიკო!..

ლევ. (ტუჩებზე ხელს დააფარებს) ჩემად... ჩემად... ფ ა რ და.

არ. ჯაჯანაშვილი.

კულტ-მუშაობა „ზაჰეს“-ში.



1. პ. შინინაშვილი—მუშკომის და კლუბის გამგეობის თავმჯდ.
2. შ. შიქინაძე—მუშკომის მდივანი და კულტკომ თავმჯ.
3. ვლ. სულთანიშვილი—დრამშრის ხელმძღვ.
4. ა. ვაგნიძე—კლუბის გამგე, 5. გრაკელი, დრამშრის ხელმძღვანელი.

ზემო-ავჭალის პირობებში აღსანიშნავია აშენების დაწყებიდან ისე გადიოდა თვეები, რომ აქაურ მუშა-მოსამსახურეთა შორის არავითარი კულტურულ განმანათლებელი მუშაობა არ წარმოებდა, იხი გამო მუშათა გათვითონობიერება შეფერხებული იყო. მშენებელთა კავშირმა სააღმშენებლო უბანში დაარსა მუშკომი და ზაჰეს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტ-მუშაობის დასაწყისი მიეცა. მუშკომმა გააუმჯობესა მუშების ნივთიერი დეგობარეობა, მუშათა დარბევა, ბინები და სხ. დიდის ზემოთ გაიხსნა კლუბი „მუშა და გლეხი“-ს სახელობაზე. ასეთი კლუბი ბევრს ჩვენს სამაზრი ქალაქს ენატრება: თეატრის მოწყობლობა კარგია. აქ თითქმის ყოველნარი პიესა დიდამდის დარბევი იტებს 500-600 კაცს. განათება და ვენტილიაცია დამკამაყოფილებელია. შესდგა სხვა და სხვა წრიები, პროლეტ-კულტის მეთოდით გაიხსნა სამკითხველო ე. ნინოშვილის სახელობის, სადაც მოდის ყველა უფრანღ-გაზეთი, აქედან ნაწილდენა 296 ცალამდე გაზეთი კოლექტორ ხელის მოშწრთა შორის; სამკითხველოს მოკრებება ბევრი კარგი შინაარსის წიგნი სხვადასხვა ენაზე, გაიხსნა ლენინის კუთხე; თეატრს ჰყავს ადგილობრივი დრამშრე,

რომელიც აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას. მოკლე ხანში გაიმართა 28 ქართ. წარმოდგენა, აგრეთვე მიდის წარმოდგენები რუსულ და სომხურ ენებზე. ხალხი აუარებელი ესწრება. უფრო ხშირად წარმოდგენები უფასოდ იმართება, ფასიანიც—ძირე იაფად. ჩვენი დასი ხშირად მიდის მახლობელ სოფლებში „ზაჰეს“-ის დრამ წრეს იცნობენ მუხრანი. ზემო-ხანდაკე, საფურაშო, მკეთთა, ქსანი და სხ. სოფლები. კლუბთან არსებობს ქართული მომედრობა გუნდი აშხ. ნ. გვაურის ხელმძღვანელობით, თეატრს ჰყავს მუსიკალური წრე, პროფესიონალური და წერა კითხვის უკოლინართა ლიკედაციისა. ბოლო ხანებში წერა-კითხვის უკოლინართა წრეში გაჩაღდა წესიერი მეკადნიერება; ბევრი ჩვენი გლეხი ამაყობს, რომ მუშაობის შემდეგ ისწავლა წერა-კითხვა. ამას დიდ ჯილდოთ დღემენ ჩვენი მუშურ-გლეხურ ხელის უფლებებისგან. მუშკომმა შეიძინა კინო-აპარატი, რომლის საშავლებით ჩვენ მუშები ეცნობენ ორიგინალურ სურათებს. მუშკომი და კულტკომისა ყოველთვის სცდილობს თივისთვის დრო მუშებს გათვითცნობიერების შესაქენთა მოახპარებინოს (მუშაობს 2—3 ათასი მუშა).

შენე.

ხალხური ვიქროლა

უ ი ც ი

ვფიცავ შერომქმედს, ყოვლის მპკრობელს, კაცო სასო იმედს, ვფიცავ გაზაფხულს, მის მშენებას,— შენს მკველ ბროლის მკერდს;

ვფიცავ მე შენსა სიყვარულსა, ვფიცავ რაც გულს ძეგრს, რომ შენ მიყვარხარ საუქნოთ, ვფიცავ დედის რძეს, თუ რომ გიმუხილო, ვიწვებოდე უდაბნოს მწირსა, სულით და ხორცილთ დივიტანჯო, ნუ შეჭვდი ლხინსა, სედა-ღუბქირი გამიკრთობდენ შენზე ტუბილს ძილსა, ვიყო ობოლა, ნუ ვეღირსო შენს ლეთიურ ჩრდილსა!..

დათია ვ გურჯანელი—დათქიკიშვილი.

ზოგადი და ბრძოლის პოეზია

ქ. ნ. ზომლეთელი: ლექსები 1917—23 წ.



ნ. ზომლეთელი

თუ ხელისუფლების დაპყრობის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ზარბაზნებსა და ყუმბარებს აქვს, — იდეოლოგიურ ფრონტზე საჭიროა ინტენსიური, თანდათანობითი, ენერგიული მუშაობა. აქ სიტყვა-კახულ მწერლობას, ლიტერატურას უდიდესი საქმის გაცემაზე შეუძლია თუ ის აულოს აუღვინა მომენტის ბრძანებას. თანამედროვე ქართულ პოეზიასაც მართებულ ფუნქციონირებას თავისი სიმღერები ამ გვიანტიურ ბრძოლის რიტმს და თავი დაანებოს მოთქმა-გოდებას წარსულზე. ჩვენს საუკუნეს ესაჭიროება ბრძოლის სულით ანთებული, კლასობრივი ანტაგონიზმის ქარცხელში ამოვლებული შრომისა და ბრძოლის პოეზია.

ამ ნიადაგს აჩაყიებდნენ ჩვენში ევროპეული, რუსული, ჭეშინვილი, ჩიკაპე და სხ. ამ ნიადაგზე სდგანან ქართულ პოეზიაში პროლეტარული პოეტები, რომელთა რიგებში ნ. ზომლეთელს ერთი პირველი ადგილთავანი უჭირავს. მისი პოეზია უსათუოდ მშრომელი გლეხელების და მუშათა კლასის მისწრაფებთა და ზრახვების გამოხატულ-გამომსახველია. ის უმღერის როგორც გლეხელებს, ისე ქარხნის მუშებს, უთხზავს მათ ბრძოლის სიმღერებს, ამხნევს მათ და უკეთესი მერმისისაკენ მოუწოდებს. ზომლეთელი დიდი ხანია რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მისი პოეზია შრომისა და ბრძოლის სიმღერებია.

მე დედა-მიწა რკინით დავსტყე,
წყალსა და ჰაერს ავსებ აღვრი,
წყს-კანონები რეალით დავსწერე,
ცეცხლით აღვავხე ბრძოლის საყვრი.

აღამიათა ტანჯვის ტანჯრზე
ცამდის აღმართე შევების სამრკელო,
რომ ახალ ყოფნის რიურაყის ზარზე,
ძველი ქვეყანა ბრძოლით ამეკლო.
სისხლით დავსწერე ეს განჩინება
და აღსრულება მივანდე მახვილს,
ქება, სახელი და წარჩინება
აღვაბეჭდინე მის გამოძახილს...

ზომლეთელის ბევრი ლექსი სოფლის შრომელი მაისს ყოფა-ცხოვრების გამოხატველია:

ფეს-ტიტველა, ჟღერაქო, თაველი,
აღწაწალეხს დილიდან საღამომდის,
მუდამ შრომობს და მუდამვე მას ში,
ამ გრძნობის ქვეშ სიმწრით სული ამოსდის.

აი, თავზე დაუდვია მოკრული
დიდი ფუთა, სავეტ ბეოლის ფოთლით,
სიმძიმის ქვეშ სწრაფად უტეხს მას გული,
მაინც ჩქარის, სულ სველია ოფლით.

(სოფლელი პატარა ქალი).
დილა, მუდამ შრომობს და მუდამ მას ში... და ასეთი იქნება ბელი ყველა მშრომელი ადამიანისა, სანამ არ მოისპობა კაპიტალისტური საზოგადოების სოციალური უკუღმარებობა, სანამ არ დაინგრევა საბოლოოდ მთელ მსოფლიოში ის უსამართლობა, რომელიც საწარმოო სა-

შუალელებს, ქარხნებს, მიწებს ერთ მუტა მუქიანობებს ანიჭებს, ხოლო მშრომელ მასს ამ მუქიანობების მონათხდის. ოქტომბრის რევოლუციის ზარმა პირველად ამცნო ქვეყნიერებას, რომ მოახლოვებულია კაპიტალიზმის აღსასრულის ეპი მთელ მსოფლიოში, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისტორიის გეანჩენი სისრულეში მოვა და კომუნისმის ცხოველმყოფელი ბრწყინვალე მზე

„თავს დაადგება ახალ სამყაროს
„ი ერთ ჯიღათ და ერთ გვირგვინად:
მის ქვეშ რომ შრომის ბაგმა იხარის
და შივ ცხოვრებაც გადიქვს ლხინად!..“

არჩ. ბუნებშივილი.

ხალხურ თეატრის მოღვაწენი



გიორგი თაზიშვილი

წარსულ თვეში ტფილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ხალხურ თეატრის ერთი უანგარო მუშაკთაგანი გ. თაზიშვილი.

სასცენო მუშაობა დაიწყო 1904 წ. ქ. გორში რუსულ დრამატ. დასში, 1907—10 წ. ტფილისში ვერისა და აგვალის ალბიტიორიებში. ამის შემდეგ კვლავ პროვინციას დაუბრუნდა: გორის მაზრაში ადგილობრივ ძალთაგან შეადგინა დასი. 1917 წლიდან სახალხო სახლში.

1921—22 წ. სახელმწიფო დასში მიიწვიეს, მაგრამ უარი განაცხადა. 1924 წ. შემოდგომიდან ნაძალადევის თეატრში გაიწვიეს რეჟისორ-ხელმძღვანელად ნათარგნის აქვს პიესები: „ზნეობრიობის დამცველნი“, „საყვრობილი“, „ქალი ქუჩიდან“ და სხ. მისი მთავარი როლები იყო: გიგო, გიორგი სააკაძე, ოთარბეგი, სპარტაკი და სხ. დაიკრძალა სამშობლო სოფელში.

ნოემბრის 12-ს, ნიკოლოზის ეკლესიის ვალავანში (ვერაზე) მიწის მიაბარეს მეორე ნაამგლარი სტენის მუშაკი რაფ. ჯიბლაძე. სცენაზე და მწერლობაში რ.

ჯიბილას სახელით ცნობილი. სასცენო მუშაობა დაიწყო 900-იან წლებში ავლაბრის თეატრში, შემდეგ სახალხო სახლში და ხალხურ თეატრს უანგაროდ ემსახურებოდა. გურული გლეხის შვილი იყო, თვითავანეთარებული. უშთავრესად იმერულ და გურულ როლებს ასრულებდა. ნიქიტედი კიბხელობდა გორულ სტენებს. სწერდა იუმორისტულ ამბებს, სტებებს და სხ. მისი როლებ : ატაკუტა, მაქსიე, კობრაიანტორეზი.



რ. ჯიბილაძე (რაფ. ჯიბლაძე) ბილაძე

0.



სახელოვნო ქრონიკა

თ ე ა ტ რ ი

ქართული დრამა, დამსახურებულ მსახიობთა ამხანაგობის თაოსნობით, სეზონს იწყებს ორშაბათს, დეკემბრის 1-ს, სახელმწიფო საოპერო თეატრში. დაიდგმის ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ალ. წუწუნავის რეჟის.

ქუთაისში სახელმწიფო აკად. დრამამ 1924—25 წ. სეზონი დაიწყო ა. შანიშვილის „ლატერა“ თი, ი. ბარველის რეჟისორობით. შემდგარი რეჟისორთა კოლეგია: ვ. გუნია, ი. ბარველი, ი. ზარდალიშვილი და ალ. ყალბეგიშვილი. დასში ირიცხება 27 ქალ-ვაჟი.

სოხუმის დრამ. წრემ. რეჟისორად მიიწვია მ. ჯულეი, მსახიობებად—ლ. სიბია, მ. ქართველიშვილი, ტ. ერისთავი, ა. ჩხეიძე—სახალხო კომისართა ხარჯით. რეპერტუარი შერეული. წარმოდგენები—ალიოხის თეატრში. განზრახულია გასტროლოგი.

თელავის სახალხო სახლი ოკეე დახურულია და შიგნიდან ილუცება. ამის ერთი თაოსნთაჯანა—გ. ჩხუბიანი—შეული აქ ქუამდ ტყელი სშავა და ამ სახლის გაუმჯობესების თაღრარგშია (სხ. შორის მისი თაოსნობით, ამ სახლზე გაიმართება დიდი საათი, დამე ელექტრონით განსანათებელი). ამ სახლის მალე დამთავრების ზრუნვაში არიან შალ. მათიკაშვილი, გ. ბაბაევი, დემასკოვის თავ. გ. ქურციკაშვილი და ინე. პატრიაჩაივო, სეზონი დაიწყება 2 თ.

ნიალი გორაკის სახელოვნო სახ. სახლში (ყოფ. ავტ. აუღ.) შესდგა სახალხო სახლის ქართ. დრამის მსახიობთა კოლექტივი (გამგობიში—დ. ბაქრაძე, სოფ. რომანიშვილი-დგუბაძე და კ. ხანაშვილი) ამით გარდა კოლექტივიში არიან: ანკარა, ბ. ასათიანი, ლ. ადამიძე, გ. ანაშვილი, ალ. ბადრიძე, გიორგაძე, შ. ვასიაიკი, მ. თუშმელიშვილი, ქ. ლომოური, ლ. მესხიშვილი, ა. მეტრეველი. ვ. მინდიაშვილი, მიწარაძე, სოსო რომანიშვილი, ალ. შავიერიალი. მედვიეი თანამშრომლობა აღუუქვეს: რეს. სახ. მსახიობმა ნ. გოციორძიძე, ელ. ჩერქეზაშვილმა. პიესებს ხელმძღვანელობს ალ. ბადრიძე. ფასი 10—30 კაპ. ბილეთები დაურიდდება—მუშებს ქარხანაში. პირველი წარმოდგენა—„მეზობლები“, ადგილი 300-დღე.

ღრამატურგია.

მაგონანი ი. გრიშაშვილი ლექსად სთარგმნის ფულდის 3 მოქ. კონფიდას „ფიორის ჩრდილი“. პიესა დაიდგმის დრამატული მოწვევითა მერე და ქართულ დრამაში.

ვ. მალაქიაშვილმა დასწერა პიესა „პირველი იერიში“, განანათავისუფლებულ მოძრაობის პირველი ხანიდან. **ბ. რემონიძემ** ა. ყუბესპირელის მოთარბა „ტყის ძებნი“ ნ შოქ. დოამდ გადმოაკეთა.

მწიგნობრობა.

ქართული თეატრის ისტორიას სწერს გრიშაშვილი. **მარჯუაის** ლექსების მეორე რვეუი „ჩემზე ჩემთვის“ ამ დღეებში გამოვა.

სვე თალაკვაძემ დასწერა რომანი „ოჯახი“ სამ ნაწილად, გასაბუთების და მისი წ ნ დროის რევილიუციონურ მოძრაობის ხანიდან. აქ აღწერილია დღდაკაც-მანაკეთა ურთიერთობის საკითხი ახალი მსოფლმედველობით, აღძრულია ზნეობრივ-უფლებრივი პრობლემა.

მეტი და სხ., რომელთა შესახებ ახლა კამარია ამოტრულ მუშაკებსა და მწერლობაში. რომანი მოწონებულია და მოკლე ხანში დაიბეჭდება.

ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერები ი. გრიშაშვილის თარგმანი, მისივე წინასიტყვაობით, მივიღეთ. ამის განხილვა შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

მოსკოვის სამუსიკო ქვე გან ბეჭდვის დიდ. ანტ. კლოპედურ და სამუსიკო ლექსიკონს. ორივე გამოქვამაში შეტანილი იქნება აღმოსავლეთის მუსიკის ტერმინები ამ ნაწილის ხელმძღვანელად მიწვეულია ჩვენი თანამშრომელი ორიენტალისტი-მუსიკოსი ალ. ოლანეზაშვილი.

საიათნოსის თათრულ ლექსების გამოქვეყნებას შეუდგა ჩვ. თანამშრომელი ალ. ოლანეზაშვილი. ამ მიზნით იგი იყო ერევნის ეროვნულ მუზეუმში. აქ დაცულ ავტორის ერთადერთ ხელთნაწერიან დადმოწერა თათრულ ლექსები, რომელსაც სათანადო შემნიშვნებით და ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებით აქვეყნებს თათრულ გაზ. „იშილი ოილ“-ში. საიათნოსის ქართული ლექსები გამოსვა ი. გრიშაშვილმა 1918 წ., სოხუმში—მოსკოვში ახერხდებდა საკუთარის რედაქციით 1852 წ., რომელიც გადათარგმნალი იქნა გერმანულად, ფრანგულად და რუსულ ენებზე. საიათნოსის თათრულ ლექსების თარგმანს მოკლე ხანში გამოვაქვეყნებთ.

მომავალი 1925 წ. იანვრის 2-ს სრულდება 75 წ., რაც თანამედროვე ქართული თეატრი დაფუძნდა (1850 წ. იანვ. 2-ს), ხოლო 1910 წ., რაც ურ. „თეატრი და ცხოვრება“ დაარსდა (15 წ. იან. 2).

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: 1) გრიგოლ გიგბერიძე: „ადამიანის წარმოშობა“; 2, კონ. გამსახურდი: „ქვეყანა რომელსაც ვხედავ“, წიგნი ნოველებს; 3) სესხ. ცოთაშვილი: „მეზობლები“—ლექსები; 4) სია ხილისთაველი: პროლეტარული პოეზია, ტომი I; 5) ალიო ბუშერანგი: „მე-მეზი“, ლექსები; 6) საქართველოს ჯანსაღ-კონის მერე გამოცემული „ქრებულ სასანიტარო საგან-მანათლებლო მეზობის სასყენო მასალებისა“ (კრებულში დაბეჭდილია პიესები; ვ. ა. დიმივის, სენო წერეთლის, ექ. ვილის და ზანტურიდის); 7, ჟურნ. „მნათობი“ № 6; 8) პროფ. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, I ტომი, „ძველი მწერლობა“, ტყ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა 1923 წ. 689; 9) სია ხილისთაველი: „წამების ჯვარი“—მოთხრობა, 10) ნ. ინსარიძე: პიესა „ქარა“.

მხატვრობა.

ქართველ მხატვართა გამოფენა გაიხსნა შაბათს, 29 ნოემბერს რუსთაველის პრ., კალოუნიანს ქ. № 2. მონაწილეებზე სხვადასხვა მიმართულების მხატვრები, სულ 43, სურათი ორასმდეა. გამოფენაზე შესვლის ფასი 50—20 ქ.

სამოლის ბარამე ბანათეაბა.

წერა-კითხვის უფოდინარობასთან მებრძოლი ხაზ—ის ტყ. ვასყოფილებს ბიურო (თავმჯდომ. ლ. სუხიშვილი, მისი ამხ. გ. ბუნიაშვილი) აწარმოებს საავტორო კამპანიას, რომლის მიზანია ფართე საზოგადოებას გააცნოს ზემოხსენებულ საზოგადოების დანიშნულება, ნივთიერი საშუალებების გამოხარისხი და თვით საზოგადოებ მოაწყვა.

საზოგადოებ-ს ონდის გასაძლიერებლად ტყ. კო. მუნალურმა ბანკმა გადასლო გამი აიას-ოზისი (3200) მ.

კინო.

საქართველოს კინო-მრეწველობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მისმა უქანანქლმა სურათმა „სამი სიცოცხლე“ (ჯ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“-დან) საყოველთაო გარდაღება მიიპყრო. საერთოდ ეს კინო მრეწველობა რუსეთსა და საზღვარ-გარედაც დიდს ყურადღებას იქცევს. დანერგვებით შემდეგ.

— გარდაცვალებენ ივ. შავ. როსტომაშვილი და ფ. რუშაველი, რომელთა შესახებ შემდეგში მოვითავსებთ წერილებს, აგრედვე ძველ ლაულას გარდაცვალების გამო ურათი და წერილი შემდეგ დიბეჭდება.

— რედაქციისაზრ. ტენნიკური მიხვით ბევრი მასალა შემდეგ ნაწილისთვის გადაიღო. იუმარისტული განყოფილება შემდეგ ნაბერში დაიბეჭდება.

შეტელობის გასწორება. ჟურნ. „თ. ც.“-ის მე-14 (17) ნომერში დაბეჭდილ აბს. კოსტენკოს ლექსში („Ворота очарования“) შეპარულია შემდეგი შეტეომები: 1) სწერია: свято стоят, უნდა იყოს: святость таят. (მე-7 სტრიქ. ზეგ.); 2) სწერია: слезы, უნდა იყოს: слез (მე-4 სტრიქ. ზეგ.).

სათეატრო მიმოხილვა

რუსთველის თეატრში აკადემიურმა დრამამ სეზონი დაიწყო 25/IX ა. შანშიაშვილის ახალი პიესა „მითრახის პანაშვილი“-თ. კარგები იყვნენ: გ. დავითაშვილი, (თანდელი), თამ. ჭავჭავაძე (ნენე), ალ. ყოროშელიანი (ზოფრავი), განსაკუთრებით ტიპიური იყო ვასაძე (ციბო), ნინო დათიანიშვილი (დედა), უ. ჩხეიძე (ელისბარა), პ. კარიშვილი (მათია), ვარდოშვილ. (ელაბო), ბაბუღია (დინაფილი), ბატონი (დავ. ჩხეიძე), საერთოდ ყველა თუგის ადგილას იყო. მისაწონია დეკორაცია, ესაღბად ირ. გამრეკელს მიეწერება. ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ იმაზე სხვა დროს. სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა კ. მარჯანიშვილმა, რეჟისორია ალ. ახმეტელი.

ამავე დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ა. შანშიაშვილის „ლტაგა“ (დაბეჭდილია). პიესა უფრო სიმბოლურია, მოქმედება დროისა და გარემოების გარეშე. აქ ნახვევად ისტორიული (ქართული) მოთხრობა ვერ გვხვდება ხშირად თანამედროვე ლემსკონიით ლაპარაკს.

მოკლე ხანში წარმოდგენილ იქნა უ. შეკსპირის კომედია „ენიმორის ცულპი ქალები“. თარგ. ვ. ჯ. ვაძე. პრობლემატისა. დიდძალი მარჯანიშვილისებურია: დანარჩენი პიესები უკვე ცნობილია: „ამლმტრემ“, „ცხვირის წყარო“, „ანტერეკთა თამაში“ და სხვ. ი. ზ.

სახელმწიფო ოპერამ განსაკუთრებულს ხელოვნებით ივლავთ თვისი დამამშვენებელის ვანო სა-აიიშვილის გარდაცვალება. სხვათა შორის, შაბათს, 22 ნოემბერს მისი სხონის პატივსაცემლად დადგულ იქნა აკადემიკოსი და ეთერა, რომლიდანაც ამესლომი (ვანო რომ ასრულებდა ხოლმე), როგორც მიმჭიდო პირი, გამოკლებული იყო: ვანო-ამესლომის მაგიერ სცენაზე შუქი ანათებდა, ხოლო სიმღერის ვოლონიჩელი ჰვენსოდა (კოპლენციკის თითებით). და ეს სურათი, ეს ჯ. დარ-რეიკ-სობრაციო გამოკონება (კ. მარჯანიშვილის მიერ) რამდენად თავისებური იყო, დიდებულთ, იმდენად ნაღვლის გამოშვები: მშვენიერ დადგმას რაღაც სვედის ჩრდილი ეფინა, მშენებლ მაყურებელთაგან ერთი ტაშიც არ ყოვილა. აქე-

დან იგულისხმება თვით მომღერალნი რა გუნებზე იქნებოდნენ: გ. ვენახის მშვენიერი მურმანი, მრავალის—მამამთავრიშვილის შეგრძობილი ეთერა, ბალეტის თავისებურება და სხ., რომელთაც თავისი მოვალეობა პირნათლედ შესარულეს, თოქოს კვლიც ვერ დასტოვეს მაყურებელზე. უქანასკნელ მოქმედებაში—მურმანისა და ამესლომის ცნობილი დუეტის (მე-მან, მურმან) დროს, როცა ამესლომის მაგიერ ვოლონიჩელი აქენსებდა, ხოლო მურმანი შუქს შემდგირის, თითქმის მივლიდნარბაზი აცრებლდა: სცენაზე სჩანდა ძვირფას ვანოს სიცოცხლეს შუქი და მურმანი. ბევრმა ამ სურათის ბოლომდე ექცერა ვერ შესძლო და დარბაზიდან გვიდა, ეგოდენ ამარყუებელი იყო სანახაობა და მოგონება. კ. მარჯანიშვილსა და ა. ახმეტელს თავისებური ელფერი შემოუტანიათ, ოპერაში ახალი ძალები სჩანან. სახ. არტისტო ვანო ფალიაშვილი თავისებურად ისტატობით ჰლოტბარობდა. აუარებელი საზოგადოება დესწრო.

უსავანი.

ქართული ოპერა 26 ნომერებს. ახალს გამარჯვებას დღესასწაულობდა. დაიდა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. პირველ მოქმედების დასაწყისში, როდესაც გარედან სიმღერა მოისმის, მთელი დარბაზი უჩვეულს, საამო, ზეადრტაცი ხმით მოიხიბლა: სიმღერა თინდათან ძლიერდებოდა. ბოლოს სცენაზე გამოჩნდა ახოვანი ჭაბუკი—მაღახო და ასტუდა ტაში. დამსწრეთა მიმული ყურადღება ამ ახალგაზრდისაქვე იყო მიპყრობილი. ხალხს სულგანაბული უსწინდა. დაიწყო ბეჭვის ხიდი—თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, შემოსძახა, მაგრამ რა დათათულულ-დაშაქრული ხმით, რა მშობლიური ჰანათი: არც ერთი ამოუნთქვა, არც ერთი ამოთქმა უკნო არ გრია. საზოგადოებით გაქვიდებმა ერთსულოვანი ტაში შეაწია, ფარდის ჩამოშვებისას—ერთხმად ორსამ ზღის გამოიწვია და ამით დადასტურა მისი ბრწყინვალე გამარჯვება. „თავილხუქლოა რომ უსმინო, ვანო (სარაჯი-შვილი) წარმოვიდგებთაო“.

ვინ არის ეს ახალგაზრდა?—ფშაველი მწყემსის შვილი, ნიკო ქუშიანიშვილი, მუერენ—მასწავლებელი. სწავლა მიუღია სამეურნეო სასწავლებელში, სამუსიკო განათლება—ტფ. სამუსიკო კონსერვატორიაში (რიადნოვის ხელმძღვანელობით, ახლაც მისი მოწვევა). ხმის გარდა ყურადღებას აცავს მისი აგებულება, სასანხიორო მიზნებია. თუქცა ამ მხრივ გაწერითა-გაშალაშინება ეჭიერება. მის უქვევლად დიდი მოვალეა აქეს, ოლონდ მუშაობა, ხმის მოვლა და თავის გაფრთხილება ჰმართებს. როგორც შევიტყვეო, მომხდებელი ჰქონია ამესლომიც, რომელსაც ამ მოკლე ხანში იმღერებს. გ. ვენაძე (კაზო) დღემდე ვითარდება, წინ მიიწვი და ლარსულელ მსახიობთა რიგებს ამშვენივს. აღსანიშნავია პოპოვა და ნეინანი, აგრედვე ისეკი და თუბანიშვილი, როგორც თავისი როლების მშვენიერი აღმსრულებელნი. გუნდს და მოცეკვეთა შეზადანელობას მადლიანი ხელი ეტოკობა. საუცხოვოა მხატვრე. მხარეც (კ. მარჯანიშვილისა). ეს ოპერა ამ შეზადანელობით არა ერთგვით აავსებს თეატრს.

ი. ზ.

რედაქტორი: კოლეგია. რედაქტორ-გამომცემელი: იოსებ იმედაშვილი.